აჭარა

გამოცემის 103-ე წელი

www.gazetiajara.ge

გამოდის: სამშაბათს, ხუთშაბათს, შაბათს

№72 (25.096) შაბათი, 8 - 10 ივლისი, 2023 წ. 50 თეთრი

გარემოს ეროვნული სააგენტოს აჭარის ჰიდრომეტეოროლოგიური ობსერვატორიის ცნობით

დღეს მოსალოდნელია დროგამოშვებით წვიმა ელჭექით, ცვალებადი მიმართულების ქარი – 10-15 მეტრი წამში, ტემპერატურა სანაპირო რაიონებში - 23-28, შიდამთიან რაიონებში - 22-27 გრადუსი სითბო.

ზღვის წყლის ტემპერატურა 24 გრადუსია, ატმოსფერული წნევა – 752 მილიმეტრი.

მომდევნო 2 დღეს ამინდი შენარჩუნდება.

კრიალოსა N იუსი

ვაკეთებთ ყველაფერს იმისთვის, რომ შევასრულოთ ევროკომისიის რეკომენდაციები და იმედი გვაქვს, მივიღებთ ამ სტატუსს, საქართველო გაერთიანდება ევროპულ ოჯახში, - განაცხადა საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ფრანკოფონიის ასამბლეაზე სიტყვით გამოსვლისას. როგორც ირაკლი ღარიბაშვილმა აღნიშნა, საქართველომ დამოუკიდებლობის აღდგენის პირველივე წლიდან მიზნად დაისახა ინტეგრაცია ევროპულ ინსტიტუტებში. „საქართველო იბრძვის კორუფციის წინააღმდეგ, ვაკეთებთ ყველაფერს იმისთვის, რომ ბიუროკრატია მაქსიმალურად იყოს შემცირებული, ხელს ვუწყობთ ბიზნესის განვითარებას, ფისკალური პოლიტიკა ხდება მიმზიდველი. ამ ასამბლეებისთვის საქართველო არის ნამდვილად კარგი პარტნიორი“, - აღნიშნა პრემიერმა.

* * *

მოგვცენ და თუ უნდათ, ოპოზიციას მისცენ კანდიდატის სტატუსი, - განაცხადა პარლამენტის თავმჯდომარემ საქართველოს ევროკავშირის კანდიდატი ქვეყნის სტატუსზე საუბრისას. „ზეპირად ვიცით, რასაც აკეთებენ ისინი, როდესაც დაფრინავენ სხვადასხვა დედაქალაქში, რას საუბრობენ იქ და როგორ „გულშემატკივრობენ“ საქართველოსთვის სტატუსის მიცემას“, - აღნიშნა შალვა პაპუაშვილმა. როგორც მან განაცხადა, ოპოზიცია თავად საუბრობს ამაზე. „საუბრობენ, როგორ არ ვარგა ჩვენი ქვეყანა, როგორი ცუდია ჩვენი ინსტიტუტები, როგორი გაუბედურებულია აქ სიტუაცია.. მთავარია, მოგვცენ და თუ უნდა, ოპოზიციამ დაიბრალოს“, - განაცხადა პაპუაშვილმა.

* * *

პარლამენტში, თავდაცვისა და უშიშროების, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტების ერთობლივ სხდომაზე, სუს-ის ანგარიში მოისმინეს. „ჯაშუშები, რა თქმა უნდა, გამოვლენილია. რაოდენობას ვერ გეტყვით, ვერც ქვეყნებს ჩამოგითვლით, თუმცა გამოვლენა ხშირად ხდება, დაკავება არ მომხდარა“, - განაცხადა სუს-ის უფროსის პირველმა მოადგილე ალექსი ბატიაშვილმა.

* * *

„ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარე ლევან ხაბეიშვილს და მის თანაპარტიელებს, რომლებიც პენსიონერებს ხვდებოდნენ საგარეჯოში, სიტყვიერად და ფიზიკურად დაუპირისპირდნენ. „გავაგრძელებთ შეხვედრებს, რისიც ასე ეშინიათ. თუ უნდა ჩავსულიყავი 150 სოფელში, ქალაქში, მუნიციპალიტეტში და რაიონში, ახლა ჩავალ 240-ში“, - განაცხადა ხაბეიშვილმა.

მოამზადა
ია შველიძემ

ბათუმი მე-4 საერთაშორისო სამედიცინო გამოფენის მასპინძელია

ხატია იაშვილი 555 18 48 88

გუშინ ბათუმში ოფიციალურად გაიხსნა სამედიცინო ტურიზმის, ტექნოლოგიებისა და აღჭურვილობის მე-4 საერთაშორისო გამოფენა ExpoMed Batumi

გახსნის ცერემონიას აჭარის მინისტრთა კაბინეტი და მეზობელი ქვეყნების დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლები ესწრებოდნენ. აჭარის ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრმა ჯაბა ფუტკარაძემ სიტყვით გამოსვლისას აღნიშნა, რომ სამედიცინო ტურიზმი ის დარგია, რომელსაც სახელმწიფოს მხრიდან მუდმივად აქვს და ექნება მხარდაჭერა. მან ყველა მონაწილეს, ორგანიზატორს მიულოცა გამოფენის წარმატებული გახსნა და ნაყოფიერი საქმიანობა უსურვა.

- წლევანდელი წელი განსაკუთრებულია ჩვენი რეგიონისთვის, რადგან რამდენიმე მიმართულებით ვმასპინძლობთ სხვადასხვა საერთაშორისო გამოფენას. სამედიცინო სფერო ჩვენთვის მნიშვნელოვანია. ბოლო წლების განმავლობაში, ზოგადად, ამ სფეროს დაფინანსება, როგორც ცენტრალური, ასევე ადგილობრივი მთავრობის და ჩვენი თავმჯდომარის ჩართულობით, ყოველწლიურად მზარდია. იზრდება მომსახურების ხარისხი და აუცილებლად გავაგრძელებთ ამ მიმართულებით წინსვლას. დღევანდელი გამოფენა არის იმის მაგალითი, რომ ჩვენ ყველა სფეროში ვვითარდებით. ქვეყნისთვის სამედიცინო ტურიზმი ერთ-ერთი პრიორიტეტული დარგია და მოხარულები ვართ, რომ დღეს ამ გამოფენას ჩვენი ქალაქი მასპინძლობს. ყველას ვუსურვებ წარმატებას, - აღნიშნა ჯაბა ფუტკარაძემ.

გამოფენაში 60-მდე ადგილობრივი და საერთაშორისო სამედიცინო დაწესებულება მონაწილეობს. მოეწყობა სხვადასხვა სახის აქტივობა და მასტერკლასი, ასევე, სისხლის დონაციის აქცია - „გაეცი სისხლი, გადაარჩინე სიცოცხლე“. როგორც ორგანიზატორებმა გვითხრეს, ExpoMed Batumi-ს მიზანია საერთაშორისო და ადგილობრივი სამედიცინო სფეროს წარმომადგენლების ერთ სივრცეში გაერთიანება, რაც უზრუნველყოფს ახალი კონტაქტების დამყარებასა და სამომავლო თანამშრომლობას.

გამოფენაზე წარმოდგენილია სამედიცინო აღჭურვილობა და ხელსაწყოები, ერთჯერადი მოხმარების საგნები, სადიაგნოსტიკო აპარატურა, პრევენციული და პოსტდიაგნოსტიკური მკურნალობის საშუალებები, სამედიცინო და ზოგადი სერვისი, ჯანდაცვის ინფრასტრუქტურა, IT სისტემები, ორთოპედია, ფიზიოთერაპია/რეაბილიტაცია და სხვა. სამი დღის განმავლობაში გაიმართება საერთაშორისო სამედიცინო კონფერენცია და B2B შეხვედრები.

- ExpoMed Batumi-ს გამოფენის ფარგლებში ჩატარდება სამედიცინო კონფერენცია.

- როგორც ვიცი, დღეს სამედიცინო სფეროს სამოცამდე პროვაიდერი მონაწილეობს და გამოფენა რომ ნაყოფიერია, ამას ისიც ადასტურებს, რომ იგი მეოთხედ იმართება. მოგეხსენებათ, მედიცინის სფერო იმდენად სწრაფად ვითარდება, მუდმივადაა საჭირო ინფორმაციის გაცვლა ან გაზიარება, რასაც აჭარის ჯანდაცვის სამინისტრო მუდამ დაუჭერს მხარს. ვიცით, რომ გამოფენის მსვლელობისას უამრავი ღონისძიებაა დაგეგმილი, მათ შორის, სისხლის დონაციის აქცია. 1 დონორის უანგაროდ გაღებული სისხლის უკან 3 გადარჩენილი სიცოცხლეა. ამიტომ ყველას მოგიწოდებთ, გამოიჩინოთ კეთილი ნება და გახდეთ დონორები. წარმატებას ვუსურვებ ყველა მონაწილეს და განსაკუთრებით - ორგანიზატორებს, ასეთი მასშტაბური ღონისძიებისთვის, - აღნიშნა აჭარის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრმა ნინო ნიჟარაძემ.

გამოფენა სამ დღეს გაგრძელდება და კვირას, 9 ივლისს ოფიციალურად დაიხურება.

გამოფენის მხარდამჭერები არიან: აჭარის მთავრობა, ბათუმის მერია, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო, აჭარის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო, თურქეთის რესპუბლიკის ჯანდაცვის სამინისტრო, ბსუ-ის საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტი, საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატა, აჭარის სავაჭრო-სამრეწველო პალატა, საქართველოს საერთაშორისო ინვესტორთა ასოციაცია, თურქ ბიზნესმენთა ასოციაცია, ქართველ და თურქ ბიზნესმენთა ასოციაცია, აჭარის ტელევიზია, TV 25 და გაზეთი „აჭარა“.

«უნდა ვიზრუნოთ, რომ ახალი მსოფლიო წესრიგის დროს დასავლეთის ბანაკში აღმოვჩნდეთ» 3

გაზრდის თუ არა მრჩეველთა საბჭოს გაუქმება ბიუროკრატიას? 4

გოგინაურის სკოლას რეაბილიტაცია ჩაუტარდება 6

«როლი მაშინ არის კარგი, როცა მასზე ფიქრში შეგიძლია გაათენო» 7

ISSN 2720-8702

9 772720 870003

გამოიწერეთ გაზეთი «აჭარა»!

ვისაც სურს მიიღოს მაქსიმალურად ზუსტი ინფორმაცია და ობიექტური ანალიზი არა მარტო ჩვენი რეგიონის, სრულიად საქართველოს პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული ცხოვრების მთავარი მოვლენების შესახებ, შესაბამისი თხოვნით მიმართოს სადისტრიბუციო ორგანიზაციას «ბათუმი ექსპრესი» (ქ. ბათუმი, ჭავჭავაძის ქ. №90, ტელ: 555 86 12 21). მისი დახმარებით თქვენს მისამართზე მიიღებთ გაზეთ «აჭარის» ყოველ მომდევნო ნომერს.

გამოიწერეთ და ითანამშრომლეთ გაზეთ «აჭარასთან»!

ჩვენთვის ძვირფასია თითოეული თქვენგანის აზრი!

წამოჭრილი პრობლემების შემთხვევაში დაგვიკავშირდით:

577 20 43 55.

დავით გაბაიძე ბრიუსელში ევროკომისარ იოჰანეს ჰანს შეხვდა

აჭარის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე - დავით გაბაიძე, ბრიუსელში, ოფიციალური ვიზიტის ფარგლებში, ბიუჯეტისა და ადმინისტრაციის საკითხებში ევროკომისარ იოჰანეს ჰანს შეხვდა

„შეხვედრაზე ვისაუბრეთ ევროკავშირის იმ პროექტებზე, რომლებიც ხელს უწყობს რეგიონების განვითარებას და ევროპულ ინტეგრაციას. შევეხეთ, უმაღლეს საბჭოში, ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერით ღია მმართველობის მიმართულებით განხორციელებულ რეფორმებს. ხაზი გაესვა საქართველოს ევროპულ პერსპექტივას და კანდიდატის სტატუსის მინიჭების მნიშვნელობას, აგრეთვე ამ პროცესში რეგიონების ადგილსა და როლს“, - აღნიშნა დავით გაბაიძემ.

ევროკომისარ იოჰანეს ჰანის შეფასებით, საქართველომ დაამტკიცა, რომ ევროპული პერსპექტივისა და ღირებულებების ერთგულია და მისთვის თანაბრად მნიშვნელოვანია მშვიდობა, ეკონომიკური განვითარება, სტაბილურობა.

დავით გაბაიძე, ბრიუსელში აჭარის დელეგაციასთან ერთად ევროპის რეგიონთა ინსტიტუტის (IRE) ხელმძღვანელ ფრანც შაუსბერგერის მიწვევით იმყოფება. ვიზიტის ფარგლებში დაგეგმილია შეხვედრები ევროკომისიის, ევროპარლამენტისა და ევროპის რეგიონთა კომიტეტის წარმომადგენლებთან.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს მასმედიასა და საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტი

შეხვედრა – ტურიზმის რეფორმის საკითხებზე

„საქართველოში მოგზაურობა, ნებისმიერი ტურისტისთვის, უსაფრთხო, საინტერესო და შთამბეჭდავია. საგულისხმოა, რომ ახალი, „უსაფრთხო ტურიზმის“ კამპანია აჭარიდან დაიწყო და სერვისების გაუმჯობესებასთან ერთად, პრიორიტეტია“, - აღნიშნა აჭარის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ტიტე არაშიძემ ბათუმში, ტურიზმის რეფორმის საკითხებზე გამართულ შეხვედრაზე.

ღონისძიებაზე ტურიზმის კანონში დაგეგმილი ცვლილებები, რეფორმის პროგრამის, ტურიზმის ადგილობრივი მოსაკრებლის რეგულირების ზეგავლენის შეფასების შედეგები განიხილეს.

შეხვედრა ISET-ის კვლევითი ინსტიტუტის წამყვანმა ეკონომისტმა, პროექტ „რეფორმეტრის“ მენეჯერმა - გიორგი პაპავამ, საქართველოს ხელისუფლებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლებმა გახსნეს.

აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) მხარდაჭერით გამართულ ღონისძიებას აჭარის უმაღლესი საბჭოს წევრები მარინე გვიანიძე, ილია ვერძაძე, ტურიზმის, სამოქალაქო და კერძო სექტორის წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს მასმედიასა და საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტი

შშმ პირთა საჭიროებების გათვალისწინება

ნაილე ხერთვისელი 27 48 93

აჭარის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს, მუნიციპალიტეტების მერიებისა და შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე პირთა საკითხებზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენელთა ერთობლივი შეხვედრა გაიმართა

შეხვედრის მიზანს სამინისტროსა და თვითმმართველობების ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის პროგრამებში დაგეგმილი სიახლეების შესახებ ინფორმაციის გაცვლა და მათში შშმ პირთა საჭიროებების კიდევ უფრო გათვალისწინება წარმოადგენდა.

- დღევანდელ შეხვედრაზე განვიხილეთ დაგეგმილი პროგრამული სიახლეები და მათში შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე მოქალაქეთა ჩართულობის საკითხი. მინდა მადლობა გადავუხადო არასამთავრობო სექტორს ინიციატივებისათვის. განვიხილეთ შშმ პირთათვის პერსონალური ასისტენტის მოდელის ყველა მუნიციპალიტეტში დანერგვის საკითხი. ჩვენ გვინდა, რომ თანხვედრაში იყოს სამინისტროს და მერიების მიერ განხორციელებული პროგრამები, შეთავაზებული სერვისები კი ხელმისაწვდომი იყოს მოქალაქეთა ყველა ჯგუფისთვის, - აღნიშნა მინისტრმა ნინო ნიჟარაძემ.

პერსონალური ასისტენტის საპილოტე პროგრამა უკვე ხორციელდება ბათუმის, ქედისა და შუახევის მუნიციპალიტეტებში. სიახლის განხილვას გეგმავენ სხვა მუნიციპალიტეტებიც. ასევე, ზოგიერთ მუნიციპალიტეტში დაგეგმილია ბათუმის მერიის პროგრამის მაგალითზე შშმ სტატუსის მქონე პირთა კურორტული დასვენების პროგრამის ამოქმედება.

შშმ სტატუსის მქონე პირები აჭარის ჯანდაცვის სამინისტროს ყველა პროგრამის ბენეფიციარები არიან. 2024 წლისათვის სოციალური დაცვის მიმართულებით დაგეგმილია პროგრამების ბიუჯეტის და შესაბამისად, ბენეფიციართა რაოდენობის ზრდა.

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა და ხანდაზმულთა სხვა დამხმარე საშუალებებით უზრუნველყოფის პროგრამის ფარგლებში, განიხილება ინოვაციური დამხმარე ტექნოლოგიების, ასევე, საკორექციო საშუალებების (ორთეზების) დაფინანსება.

მნიშვნელოვანი ტურნირი მაგიდის ჩოგბურთში

მანანა ძიძიშვილი 598 24 94 97

18-დან 24 სექტემბრამდე ბათუმი პირველად უმასპინძლებს მსოფლიო ახალგაზრდულ ეტაპს მაგიდის ჩოგბურთში. ტურნირი U 11, 13, 15, 17, 19-მდე ასაკობრივ კატეგორიებში გაიმართება როგორც გოგონებში, ისე ბიჭებში

საქართველოსა და აჭარის ნაკრებების მთავარი მწვრთნელის გიორგი სარხაიანის თქმით, ეს პირველი შემთხვევაა, როცა ჩვენი ქალაქი ასეთ მნიშვნელოვან ღონისძიებას მასპინძლობს. მაგიდის ჩოგბურთი კი ერთგვარად სპორტის „ბათუმური“ სახეობაა. კარგად გვახსოვს ჩვენი სარქის სარხაიანის დიდი წარმატებები სპორტის ამ სახეობაში, დამოუკიდებელ საქართველოში კი ბათუმელმა ანა ნიკოიანმა (გიორგი სარხაიანის აღზრდილმა) პირველად მოიპოვა პოლონეთში ჩატარებული ევროპული თამაშების ლიცენზია.

ტურნირის პირველ ეტაპს შარშან თბილისმა უმასპინძლა. საკმაოდ მაღალ დონეზე ჩატარებული ღონისძიების შემდეგ, მსოფლიო ფედერაციამ გადაწყვიტა, შემდეგი ეტაპი ჩვენს ქალაქში გაემართა და წელს მას ბათუმი უმასპინძლებს. ეს ეტაპები სხვადასხვა ქვეყანაში ტარდება. თბილისში 20-მდე ქვეყნის წარმომადგენელი ჩამოვიდა, ვნახოთ, ბათუმში რამდენი ჩამოვა.

საქართველოს ნაკრები ათი გოგონათი და ათი ვაჟით იასპარეზებს, მათ შორის, აჭარიდან ოთხია - მარი რიჟვაძე (19 წლამდე), მარიამ გორგაძე (13 წლამდე), დიანა სააკიანი და ცოტნე ცისკარიძე (11 წლამდე). სხვადასხვა ასაკობრივი ჯგუფის ნაკრებებში, ეროვნულ ჩემპიონატზე პირველ-მეორე ადგილზე გასული სპორტსმენები შევიდნენ. აღსანიშნავია, რომ შარშან, პირველ ეტაპში, უკვე მონაწილეობდა ჩვენი ორი გოგონა - მარი რიჟვაძე და მარიამ გორგაძე, დიანა და ცოტნე კი პირველად იასპარეზებენ.

როგორც აჭარის მაგიდის ჩოგბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა, საქართველოს ჩოგბურთის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტმა ავთანდილ ბერიძემ გვითხრა, აჭარაში სპორტის ეს სახეობა კვლავაც პოპულარულია. მარტო საქართველოს ნაკრებში სხვადასხვა ასაკობრივ ჯგუფში აჭარიდან 70 სპორტსმენია. მთელი აჭარის მასშტაბით კი 200-მდე სპორტსმენი ეუფლება მაგიდის ჩოგბურთს.

აგვისტოში საქართველოს ნაკრები შეკრებას ჯერ რაჭაში გაივლის, შემდეგ, სავარაუდოდ, ბათუმში.

ამბები

ნიკოლ ფაშინიანი - საქართველოში

სომხეთის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრი ნიკოლ ფაშინიანი საქართველოს სამუშაო ვიზიტით ეწვია.

საპატიო სტუმარს ბათუმის საერთაშორისო აეროპორტში ვიცე-პრემიერი, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრი ლევან დავითაშვილი დახვდა.

სომხეთის პრემიერის დახვედრის ცერემონიაში ასევე მონაწილეობდა აჭარის მთავრობის თავმჯდომარე თორნიკე რიჟვაძე.

ნიკოლ ფაშინიანის თანმხლებ დელეგაციაში შედიან სომხეთის მთავრობის მაღალი რანგის წარმომადგენლები. ვიზიტის ფარგლებში დაგეგმილია საქართველოსა და სომხეთის პრემიერ-მინისტრების შეხვედრები როგორც პირისპირ, ისე გაფართოებულ ფორმატებში.

ამირან გურიელიძე

ბეტონის საფარს აგებენ

ცოტნე ცაბაძე 27 48 94

შუახევის მუნიციპალიტეტის უჩამბის ადმინისტრაციულ ერთეულში, ადგილობრივი ბიუჯეტიდან, 7 სოფლისა და დასახლებული უბნების საავტომობილო გზების ცალკეულ მონაკვეთზე ბეტონის საფარის დასაგებად 60000 ლარამდეა მობილიზებული. მთლიანად უჩამბის ადმინისტრაციულ ერთეულში 208 კუბური მეტრი ბეტონის საფარი დაიგება. ნახევარი სამუშაოები უკვე შესრულებულია. სოფელ გოგაძეებში, დავით თურმანიძის საცხოვრებელ სახლთან მისასვლელ საავტომობილო გზაზე ბეტონის საფარი დაიგო.

შუახევის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე როსტომ ლორთქიფანიძე, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე გიორგი კეკელიძე, საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე თენგიზ ივანაძე, უჩამბის ადმინისტრაციულ ერთეულში შუახევის მერის წარმომადგენელი ემზარ დავითაძე მიმდინარე სამუშაო პროცესს დაესწრნენ.

სამუშაოებს შპს „ზურა 2012“-ი ასრულებს.

„უნდა ვიზრუნოთ, რომ ახალი მსოფლიო წესრიგის დროს დასავლეთის ბანაკში აღმოვჩნდეთ“

ლაშა ხომერიკი 593 50 82 69

მმართველი პარტია ქვეყნის აღმშენებლობასა და სტაბილურობის შენარჩუნებაზე ამახვილებს ყურადღებას, ოპოზიციას კი ანტისახელმწიფოებრივ ქმედებებში სდებს ბრალს. ოპოზიციური სპექტრი ხელისუფლებას საყვედურობს პოლარიზებული გარემოსა და არასახარბიელო ეკონომიკური მდგომარეობის გამო

უდავოა, რომ რაც უფრო მოახლოვდება არჩევნები, მით უფრო დაიძაბება სიტუაცია ქვეყანაში. ურთიერთდაპირისპირება და სიძულვილი ქართული პოლიტიკისთვის დამახასიათებელია. როგორია საქართველოს ეკონომიკური და პოლიტიკური ვითარება? რა გამოწვევების წინაშე ვდგავართ? რა პრეტენზია აქვს ოპოზიციას ხელისუფლების მიმართ? - ამ და სხვა აქტუალურ საკითხებზე ვესაუბრებით „ლელო საქართველოსთვის“ აჭარის ორგანიზაციის ერთ-ერთ ლიდერ ***ბენო თეგიძეს.***

- ქვეყანაში მნიშვნელოვანი პროცესები ვითარდება, თქვენთვის რა საკითხებია აქტუალური?

- ეს კვირა, გარკვეულწილად, დახუნძლული იყო არასახარბიელო თემებით. სამწუხაროდ, ანგარიში, რომელიც პრემიერ-მინისტრმა პარლამენტში წარადგინა, კითხვებს ბადებს... ის დამოკიდებულება, რომელიც გამოამჟღავნა პრემიერმა ოპოზიციისა და ახალგაზრდებისადმი, შემაშფოთებელია დემოკრატიული ქვეყნის მშენებლობის პროცესში. იმასაც დავსძენ, რომ პრემიერ-მინისტრ ღარიბაშვილს ვალდებულება აქვს - მაქსიმალურად დახვეწილი, კონსტრუქციული საუბარი აწარმოოს მოსახლეობასთან და მათ შორის ოპოზიციასთან.

- ხელისუფლების წარმომადგენლები აცხადებენ, რომ ხშირად საუბრობენ მოსახლეობასთან ოპოზიციისგან განსხვავებით...

- ისინი ბევრ რამეს ამბობენ, თუმცა მათი სიტყვა და საქმე ერთმანეთს სცილდება. ყველანი კარგად ვხედავთ, როგორ ცდილობს ხელისუფლება პოლარიზაციის გაღრმავებას, არასახარბიელო ეკონომიკური მდგომარეობა რომ არის, საკამათო არაა. ვაკრიტიკებთ არა მხოლოდ ჩვენ - ოპოზიცია და მესამე სექტორი, არამედ ჩვენი დასავლელი პარტნიორებიც. მხედველობაში მაქვს ევროპა და ამერიკის შეერთებული შტატები. დამოკიდებულება, რაც დასავლელი პარტნიორებისა და უკრაინისადმი გაჟღერდა, იყო მიუღებელი. ვფიქრობ, რომ ასეთი დამოკიდებულება ვერ შექმნის ისეთ სახელმწიფოს, რომლის მშენებლობისკენ მიისწრაფვის საქართველოს მოსახლეობა. ცუდია ის, რომ 11 წლის განმავლობაში ვერ მოახერხეს პრობლემების გადაჭრა, არც ცნობილი 12 პუნქტის შესრულებას აპირებენ.

- თქვენ უარყოფითად შეაფასეთ პრემიერის გამოსვლა პარლამენტში, თუმცა მმართველი პარტია აცხადებს, რომ ქვეყანა ვითარდება და ოპოზიცია დესტრუქციული ქმედებითაა დაკავებული.

- სამწუხაროდ, ხელისუფლება, ძირითადად, ოპოზიციის და ჩვენი დასავლელი პარტნიორების კრიტიკითაა დაკავებული. ის, რომ ომი არავის უნდა - ეს მისაღები და გასაგებია. რომელ ჭკუათმყოფელს უნდა ომი? მაგრამ დღეს ჩვენ ვხედავთ სხვა პროცესს: ეკონომიკაზე აქვს გათვლა გაკეთებული ჩვენს ხელისუფლებას, მაგრამ რის ხარჯზე ხდება ამ ეკონომიკის წარმართვა? ამით ხომ არ ვაძლიერებთ რუსეთს, რომელიც ღიად აცხადებს, რომ გაარღვია ეკონომიკური სანქციები? შემთხვევით საქართველოს ხარჯზე ხომ არ გაარღვიეს ეს ეკონომიკური სანქციები? გარდა ამისა, ჩვენ ვალდებულება გვაქვს, რომ გავხდეთ ევროკავშირის წევრი, ამისთვის მნიშვნელოვანია, მოთხოვნები, რომლებსაც ევროკავშირი საქართველოს უყენებს, ეტაპობრივად შესრულდეს. ალბათ, აკვირდებით, რომ მმართველ პარტიას რომელიც სჭირდება, იმ საკანონმდებლო ცვლილებებს ელვის სისწრაფით ახორციელებს, ხოლო თუ ქართველ ხალხს სჭირდება, მაშინ ჭიანურდება. საუბარია 12 ევროპული რეკომენდაციის შესრულებაზე.

- პრემიერ-მინისტრმა ღარიბაშვილმა ბრიუსელში განაცხადა, რომ ქვეყანა ზედმიწევნით ასრულებს 12 პუნქტს...

- „ფიცი მწამს, ბოლო მაკვირვებს“ - ეს სწორედ ჩვენს ხელისუფლებაზეა ნათქვამი. რატომაა, რომ მათი ფავორიტი პრეზიდენტი ზურაბიშვილი ხელისუფლებას დაუპირისპირდა სხვადასხვა საკითხში და იღებს სწორ გადაწყვეტილებას ქართული სახელმწიფოს მომავლისთვის? ავიღოთ თუნდაც ნიკა გვარამიას შეწყალება.

- სწორედ ამაზე მინდა გკითხოთ: პრეზიდენტმა გვარამია შეიწყალა, ექსპერტები აცხადებენ, რომ პრეზიდენტის ზემოაღნიშნული გადაწყვეტილება კანდიდატის სტატუსის მისაღებად და დეპოლარიზაციის აღმოფხვრისკენ გადადგმული ქმედითი ნაბიჯია. რას ფიქრობთ?

- პრეზიდენტი ვერ განსაზღვრავს სახელმწიფოს ნებას, იქიდან გამომდინარე, რომ მას აქვს შეზღუდული უფლებამოსილება, ანუ პრეზიდენტი არ არის პირველი პირი სახელმწიფოში, პირველი პირი პრემიერია, ამიტომ მან უნდა შეასრულოს ის მოთხოვნები, რაც დეპოლარიზაციის აღმოფხვრისთვის აუცილებელია, რასაც, სხვათა შორის, მოითხოვენ დასავლელი პარტნიორები, ამას მოითხოვს ჩვენი პარტიაც და, ზოგადად, პროდასავლური პარტიებიც.

- გვერდს ვერ ავუვლით ყოფილი პრეზიდენტის თემას, ამასწინათ სასამართლოში სააკაშვილის გამოჩენამ დასავლელი პოლიტიკოსების შეშფოთება გამოიწვია.

- „ლელო“ თავშივე ითხოვდა, რომ გადავადებულიყო სასჯელი და ყოფილი პრეზიდენტი სააკაშვილი სამკურნალოდ ევროპაში გაეშვათ. ჩვენ ამ პოზიციაზე ვართ. ქვეყნის ინტერესებიდან გამომდინარე, ხელისუფლება ვალდებულია, სააკაშვილს ჰუმანურად მოექცეს, უნდა გადაუვადდეს სასჯელი, შემდგომში სასამართლომ უნდა გადაწყვიტოს, რამდენად სწორია ბრალდებები.

- სხვათა შორის, ირაკლი კობახიძემ სააკაშვილთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ „რაც ვნახეთ, ეს იყო კუჭის ოპერაციის რეკლამა“...

- კობახიძე ცნობილია თავისი ციინიზმით და ეს დამოკიდებულება ზუსტად ასახავს მმართველი გუნდის დამოკიდებულებას ოპოზიციის მიმართ, რაც ყველაზე მეტად მიუღებელია. მსჯავრდებულსაც უნდა მოექცე ჰუმანურად. დღეს მსოფლიო გვაკვირდება, როგორ ვექცევით ადამიანს, რომელსაც აქვს ერთი მოთხოვნა - მიეცეს საზღვარგარეთ მკურნალობის შესაძლებლობა.

- ამას წინათ „ედისონ რიჩერსმა“ მორიგი კვლევის შედეგები გამოაქვეყნა: მმართველ გუნდს მოსახლეობის 37 პროცენტი უჭერს მხარს, „ნაცმოძრაობას“ - 25, გახარიას პარტიას და „ლელოს“ - 6-6. რამდენად რეალურია მსგავსი გამოკითხვები?

- ვენდობით იქიდან გამომდინარე, რომ ეს ორგანიზაციები თავის საქმეს აკეთებენ, მაგრამ ეს არ ასახავს იმ რეალობას, რომელიც შესაძლოა არჩევნებზე დადგეს. ჩვენ ვმუშაობთ და აუცილებლად გადავლახავთ საარჩევნო ბარიერს, შევალთ პარლამენტში, ასევე - აჭარის უმაღლეს საბჭოშიც.

- თქვენი პარტიის ლიდერმა განაცხადა, რომ ყველა პროდასავლური პარტია უნდა გაერთიანდეს, ოღონდ „ნაცმოძრაობის“ გარეშე.

- ჩვენ ვართ დამოუკიდებელი პარტია, არ მივეკუთვნებით რომელიმე პოლიტიკურ ძალას, გვაქვს ჩვენი პროგრამა, გვყავს ლიდერები, გვაქვს ქვეყნის განვითარების გეგმა. მიგვაჩნია, რომ საქართველოსთვის უმნიშვნელოვანესია ევროკავშირსა და ნატოში გაერთიანება. რაც მთავარია, ჩვენი მოსახლეობის კეთილდღეობას უმთავრეს ამოცანად ვთვლით. საერთოდ, ყველას ჰყავს თავისი ელექტორატი, მათ შორის „ნაცმოძრაობასაც“. ჩვენ ვალდებული ვართ, იმ ელექტორატზე ვიმუშაოთ, რომელსაც არც „ნაცმოძრაობა“ და არც „ქართული ოცნება“ უნდა. რა თქმა უნდა, ვითანამშრომლებთ ყველა პროდასავლურ ძალასთან. თითოეულმა ოპოზიციურმა ძალამ რომ თავის ელექტორატზე იმუშაოს, დარწმუნებული ვარ, მმართველ გუნდს არჩევნებში დავამარცხებთ.

- ხშირად საუბრობენ მესამე ცენტრის შექმნის აუცილებლობაზე. თქვენს პარტის რამდენად შეუძლია მესამე ძალად ჩამოყალიბება?

- ჩვენი პარტიის ლიდერებს ამის ღრმა რწმენა რომ არ ჰქონდეთ, დარწმუნებული ვარ, პარტიას არ შექმნიდნენ. „ლელოს“ შეუძლია მნიშვნელოვანი შედეგის ჩვენება არჩევნებში. ჯერჯერობით კონკურენციას ვერ გავუწევთ მმართველ პარტიასა და „ნაცმოძრაობას“, თუმცა ხელისუფლებაში ყოფნის (ვგულისხმობ კოალიციურ მთავრობას) საშუალება რომ მოგვეცემა და როდესაც ხალხი დაინახავს, რამდენი კარგი საქმე გააკეთა „ლელომ“, დარწმუნებული ვარ, ჩვენი პარტიის რეიტინგი მნიშვნელოვნად გაიზრდება. ყველამ კარგად იცის, რომ საქართველოში „ლელო“ მესამე პოლიტიკური ძალაა, ზოგიერთებმა რაც უნდა ირონიულად გაიღიმონ.

- რა გაძლევთ ამის თქმის საფუძველს?

- უპირველესად, ჩვენი პარტიის ადამიანური რესურსი, ლიდერების ფართო დიაპაზონი და განსწავლულობა, ქვეყნის განვითარების მწყობრი პროგრამა, პარლამენტში აქტიურობა და ინიციატივები, რომლებსაც „ლელო“ ახორციელებს მცირე ძალით, ვგულისხმობ წალენჯიხის მაგალითს, სადაც მკაფიოდ ჩანს, რა შეუძლია ჩვენს პარტიას.

- ოპოზიცია ხშირად აცხადებს, რომ მომავალ არჩევნებში ჩამოაყალიბებს კოალიციურ მთავრობას. თქვენი პარტია ითანამშრომლებს გახარიას პარტიასა და „ნაცმოძრაობასთან“?

- ჩვენ ვიმოქმედებთ მხოლოდ და მხოლოდ საქართველოს საკეთილდღეოდ. „ლელოს“ ქვეყნის საზიანოდ არასოდეს არაფერი გაუკეთებია. ვიმოქმედებთ ერთადერთი პრინციპით - მოსახლეობის კეთილდღეობა, საქართველოს ნაციონალური ინტერესების დაცვა და ასე იქნება მუდმივად.

- საპარლამენტო და ადგილობრივმა არჩევნებმა ცხადყო, რომ არჩევნებში მოსახლეობის დაახლოებით 50 პროცენტი მონაწილეობს. რას აკეთებს თქვენი პარტია პასიური ამომრჩევლის არჩევნებზე მისაზიდად?

- ჩვენი პარტიის წევრები დაფუძნების დღიდან ვცდილობთ საზოგადოების დარწმუნებას, რომ თუ დემოკრატიული სახელმწიფოს შექმნა, ეკონომიკური და პოლიტიკური კრიზისიდან თავის დაღწევა გვსურს, პირველი ნაბიჯი არჩევნებზე მისვლა და არჩევანის გაკეთებაა. სხვათა შორის, მესამე ცენტრის შექმნა ზუსტად იმაზეა გათვლილი, რომ ეს 50 პროცენტი დავაინტერესოთ, მიიღოს არჩევნებში მონაწილეობა. ამომრჩეველს უნდა ავუხსნათ, რომ მის ხმას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს, უნდა ავუმაღლოთ თვითშეგნება.

- საგარეო საკითხსაც შეეხოთ, მით უფრო, რომ თქვენი პარტიის ლიდერები ხშირად დადიან უკრაინაში. როგორი იქნება საერთაშორისო წესრიგი უკრაინის ომის შემდეგ?

- ყველანი ვხედავთ, რამდენად რთულ სიტუაციაშია დღეს მსოფლიო უკრაინაში მიმდინარე ომის გამო. ჩვენი პარტია მაქსიმალურად უჭერს მხარს უკრაინას. საქართველოში „ლელო საქართველოსთვის“ ერთადერთი პოლიტიკური ძალაა, რომლის ლიდერები მამუკა ხაზარაძე და ბადრი ჯაფარიძე უკრაინის საელჩომ ორდენებით დააჯილდოვა. ჩვენი პარტია ომის პირველივე დღიდან ჩართულია ამ პროცესში და ვეხმარებით, როგორც შეგვიძლია, უკრაინელ ხალხს. ასე გაგრძელდება, სანამ უკრაინა საბოლოოდ გაიმარჯვებს. ეს ქვეყანა ლოკომოტივია, რომელიც სჭირდება საქართველოს. მესმის, რთული სიტუაცია შიშს იწვევს, თუმცა არ მესმის ჩვენი ხელისუფლების ლოიალობა რუსეთის მიმართ. ახლა უფრო აქტიურები უნდა ვიყოთ, უნდა ვიზრუნოთ, რომ ახალი მსოფლიო წესრიგის დროს დასავლეთის ბანაკში აღმოვჩნდეთ და არა - რუსულ ჭაობში. თუ არ ეხმარები უკრაინას, ხელი მაინც არ უნდა შეუშალო.

- მმართველი პარტიის წევრები აცხადებენ, რომ საქართველო შეძლებისდაგვარად ეხმარება უკრაინას...

- ჩვენი ხელისუფლება სანქციებს არ უერთდება, გამუდმებით ლანძღავენ ომში მყოფი ქვეყნის ხელისუფლებას. გარდა ამისა, თბილისის მერმა რუსული წარმოების „კამაზი“ იყიდა ხუთ მილიონ დოლარად. ეს შემთხვევით აგრესორი ქვეყნის ეკონომიკას ხომ არ ხმარდება? ამ კითხვას სვამენ არა მარტო პოლიტიკოსები, არამედ ექსპერტებიც. ეს არის ჩვენთვის პრობლემა და მის აღმოსაფხვრელად აუცილებელია, უფრო გონივრული ნაბიჯები გადავდგათ. დარწმუნებული ვარ, არჩევნების შემდეგ ბევრი რამ სასიკეთოდ შეიცვლება. იმედის მომცემია, რომ საქართველოს მოსახლეობას სურს რეალური დემოკრატია, ეკონომიკური კეთილდღეობა, სამართლიანი სახელმწიფო და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში გაერთიანება.

უცხოეთი

ნატოს გენერალურმა მდივანმა იენს სტოლტენბერგმა განაცხადა, რომ შვედეთი ალიანსში მალე გაწევრიანდება. „დროა, შვედეთი შეუერთდეს ალიანსს. შესაძლოა, დადებითი გადაწყვეტილება ვილნიუსში ალიანსის სამიტს მოჰყვეს“, - აღნიშნა მან. მანამდე აშშ-ის პრეზიდენტმა ჯო ბაიდენმა დაუჭირა მხარი შვედეთის ნატოში გაწევრიანებას. „შვედეთი არის უნარიანი და ერთგული პარტნიორი, რომელიც ჩვენს ალიანსს გააძლიერებს“, - აღნიშნა შეერთებული შტატების პრეზიდენტმა.

* * *

ნატოში უკრაინის გაწევრიანების გადაწყვეტილებას, ალიანსის 31-ვე წევრის თანხმობით, მას შემდეგ მიიღებენ, რაც ქვეყანა ყველა მოთხოვნას დააკმაყოფილებს, - განაცხადა თეთრი სახლის პრესსპიკერმა კარინ ჟან-პიერმა. „უკრაინამ უნდა გაატაროს რეფორმები, რათა დააკმაყოფილოს იგივე სტანდარტები, რაც ნატოს ნებისმიერმა ქვეყანამ - გაწევრიანებამდე. უკრაინას შეუძლია ამის გაკეთება. კიდევ ერთხელ: ჩვენ ერთგული ვართ და ერთგული ვიყავით ნატოს ღია კარის პოლიტიკის და ასე გავაგრძელებთ“, - აღნიშნა ჟან-პიერმა.

* * *

რუსეთის პრეზიდენტის პრესსპიკერ დიმიტრი პესკოვის განცხადებით, რუსეთისა და თურქეთის პრეზიდენტები უახლოეს მომავალში შესაძლოა, ერთმანეთს შეხვდნენ. „თქვენ იცით, რომ პუტინი და ერდოღანი ხშირად და რეგულარულად ურთიერთობენ. პირისპირ კონტაქტის საკითხი არაერთხელ განხილულა“, - აღნიშნა პესკოვმა და დასძინა, რომ კრემლი ყურადღებით დააკვირდება თურქეთში უკრაინის პრეზიდენტ ვოლოდიმირ ზელენსკის და მის თურქ კოლეგა რეჯეფ თაიფ ერდოღანს შორის შეხვედრის შედეგებს. ზელენსკი თურქეთში გუშინ ჩავიდა. თურქულმა მედიამ გაავრცელა ინფორმაცია, რომ რეჯეფ თაიფ ერდოღანი უკრაინის პრეზიდენტთან შეხვედრის შემდეგ, „დიდი ალბათობით“, მოლაპარაკებებს ვლადიმერ პუტინთანაც გამართავს.

* * *

ბელარუსის პრეზიდენტი ალექსანდრე ლუკაშენკო აცხადებს, რომ შემოდგომაზე შესაძლებელია უკრაინაში მიმდინარე ომის საკითხზე მოლაპარაკებების დაწყება. „შემოდგომისთვის სიტუაცია უნდა შეიცვალოს და მოლაპარაკების მაგიდასთან დავიწყებთ საუბარს. არ მინდა რაიმე ინფორმაციის გაცემა, მაგრამ ევროპელები უკვე საუბრობენ ამაზე - საფრანგეთი, გერმანია. მატერიალური თვალსაზრისით, ამ ომით ყველაზე მეტს ევროპელები კარგავენ, სარგებელს კი მხოლოდ ერთი ქვეყანა იღებს“, - აღნიშნა ლუკაშენკომ. მისივე თქმით, „მთავარია, კონფლიქტი შეწყდეს. „ძლიერი რუსეთი, არავის გაუკვირდეს, მზად არის უკრაინასთან მოლაპარაკებისთვის. ვიცი პუტინის პოზიცია. ის წავა ნებისმიერი საკითხის განსახილვაზე, მაგრამ მოდით, დავსხდეთ მოლაპარაკების მაგიდასთან წინაპირობების გარეშე“, - დასძინა მან.

* * *

აშშ უკრაინას სამხედრო დახმარების ახალ პაკეტს სთავაზობს, რომელიც კასეტურ საბრძოლო მასალასაც მოიცავს, გერმანია კი უკრაინაში ამ ტიპის იარაღის გაგზავნას ეწინააღმდეგება. „ოსლოს შეთანხმება ჩვენთვის, როგორც ამ შეთანხმების მონაწილე სახელმწიფოსთვის, მოქმედებს“, - განაცხადა გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრმა ანალენა ბერბოკმა.

მოამზადა
ია შველიძემ

გაზრდის თუ არა მრჩეველთა საბჭოს გაუქმება ბიუროკრატიას?

ხატია იაშვილი 555 18 48 88

როგორც ცნობილია, საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიასა და რადიოში მრჩეველთა საბჭო გაუქმდება. ამას ითვალისწინებს „ქართული ოცნების“ მიერ ინიცირებული კანონპროექტი, რომელსაც პარლამენტის 79-მა წევრმა 29 ივნისს მეორე მოსმენით დაუჭირა მხარი. ბორდის გაუქმებას რეგიონში სხვადასხვაგვარად აფასებენ. ოპოზიურად განწყობილი პირები მიიჩნევენ, რომ ეს გადაწყვეტილება გაზრდის ბიუროკრატიას. მმართველ გუნდში კი ამბობენ, რომ ეს გადაწყვეტილება არ შეცვლის ტელევიზიაში არსებულ პოლიტიკას. ამ საკითხზე აჭარის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ტიტე აროშიძეს ვესაუბრეთ

- ბატონო ტიტე, როგორ აფასებთ პარლამენტის გადაწყვეტილებას, რის საფუძველზეც საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიასა და რადიოში მრჩეველთა საბჭო გაუქმდება?

- რადგან აჭარის ტელევიზია დღეს წარმოადგენს საზოგადოებრივი მაუწყებლის ერთ-ერთ მიმართულებას, მნიშვნელოვანია, რომ მისი მართვა განხორციელდეს ცენტრალიზებულად, იქნება ეს რეგიონში თუ სხვაგან. მთავარია, ტელევიზიის პოლიტიკა არ შეიცვლება და გააგრძელებს ისევ იმ რეჟიმში მუშაობას.

- საუბრობენ იმაზე, რომ ეს გადაწყვეტილება გაზრდის ბიუროკრატიას. როგორ ფიქრობთ, არის ამის საშიშროება?

- ვფიქრობ, გადაწყვეტილება, რომელიც პარლამენტმა მიიღო, არ გაზრდის ბიუროკრატიულ მექანიზმებს, პირიქით, შესაძლოა, მუშაობა უფრო ეფექტური გახდეს. ახალი კანონის მიღების შემდეგ საზოგადოებრივი მაუწყებლის ბორდის წევრების რაოდენობა იზრდება აჭარის წარმომადგენლობით, შესაბამისად, თუ არის დღეს ერთი წარმომადგენელი, იქნება სამი. ეს თავისთავად ნიშნავს იმას, რომ ცენტრალიზებულ დონეზე მოხდება მართვა და გათვალისწინებული იქნება ყველა ის ინტერესი, რომელიც მნიშვნელოვანია საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს განვითარებისათვის.

- საზოგადოებრივი მაუწყებლის იმ სამ წევრს ვინ შეარჩევს, საქართველოს პარლამენტი თუ აჭარის უმაღლესი საბჭო?

- დეტალები უკვე გაწერილია, თუ როგორ უნდა მოხდეს მათი არჩევა. საზოგადოებრივ მაუწყებელში წევრობის კანდიდატებს აირჩევს აჭარის უმაღლესი საბჭო და შემდგომში წარედგინება პარლამენტს. არჩევის პრინციპი არ იცვლება. მთავარია ის, რომ ბორდში იქნება აჭარის მიმართულებით სამი წარმომადგენელი, ეს კი, რა თქმა უნდა, გაზრდის ცენტრალიზებულ დონეზე საზოგადოებრივ მაუწყებელში მართვას, რაც მნიშვნელოვანია. ამასთანავე, ბორდი ასრულებდა ძალიან დიდ ფუნქციას და აჭარის უმაღლეს საბჭოსთან იყო ანგარიშვალდებული, ახლა კი ვინც უხელმძღვანელებს მენეჯმენტს, ისინი განსაზღვრავენ იმ პოლიტიკასაც, რომელიც უნდა განხორციელდეს. დარწმუნებული ვარ, ეს დიდად არ შეცვლის და არ გახდის მუშაობას ბიუროკრატიულს.

შეგახსენებთ, რომ მმართველმა პარტიამ „მაუწყებლობის შესახებ“ კანონში ცვლილებების პროექტი 2023 წლის მაისის ბოლოს წარმოადგინა და პირველი მოსმენითაც მალე მიიღო, თუმცა თავდაპირველი ვერსია მრჩეველთა საბჭოს გაუქმებას არ გულისხმობდა და ეხებოდა საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეურვეო საბჭოს წევრთა რაოდენობის 9-დან 11-მდე გაზრდას, ასევე, მარეგულირებელი ორგანოსთვის - კომუნიკაციების ეროვნული კომისიისთვის სამეურვეო საბჭოს წევრობის ორი კანდიდატის წარდგენის უფლების მინიჭებას.

მეორე კენჭისყრამდე „ქართულმა ოცნებამ“ კანონპროექტი შეცვალა. კერძოდ, კომუნიკაციების ეროვნული კომისია საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეურვეო საბჭოში წევრობის კანდიდატებს აღარ წარადგენს. სამაგიეროდ, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საბჭოს, 1-ის ნაცვლად, 3 კანდიდატის წარდგენის უფლება ექნება. გაუქმდება აჭარის ტელევიზიისა და რადიოს მრჩეველთა საბჭო და სამეურვეო საბჭო განსაზღვრავს როგორც საზოგადოებრივი მაუწყებლის, ისე აჭარის ტელევიზიისა და რადიოს პროგრამულ პრიორიტეტებს. სამეურვეო საბჭო თანამდებობაზე სამი წლის ვადით დანიშნავს აჭარის ტელევიზიისა და რადიოს დირექტორს, თანხმობას მისცემს მას ისეთი გარიგების დადებაზე, რომლის ღირებულება მაუწყებლის ბიუჯეტის 1%-ს აღემატება, ასევე, განსაზღვრავს დირექტორის შრომის ანაზღაურებას. გარდა ამისა, სამეურვეო საბჭო აჭარის ტელევიზიისა და რადიოს დირექტორის წარდგენებით მიიღებს აჭარის ტელევიზიისა და რადიოს ბიუჯეტს, აგრეთვე, ბიუჯეტში ცვლილებებს და დაამტკიცებს ბიუჯეტის შესრულების ანგარიშს.

> **„დეტალები უკვე გაწერილია, თუ როგორ უნდა მოხდეს მათი არჩევა. საზოგადოებრივ მაუწყებელში წევრობის კანდიდატებს აირჩევს აჭარის უმაღლესი საბჭო და შემდგომში წარედგინება პარლამენტს. არჩევის პრინციპი არ იცვლება. მთავარია ის, რომ ბორდში იქნება აჭარის მიმართულებით სამი წარმომადგენელი, ეს კი, რა თქმა უნდა, გაზრდის ცენტრალიზებულ დონეზე საზოგადოებრივ მაუწყებელში მართვას“**

უკრაინა

უკრაინის პრეზიდენტ ვოლოდიმირ ზელენსკის განცხადებით, იდეალური იქნება, თუ ვილნიუსის სამიტზე უკრაინას ნატოში გასაწევრიანებლად ოფიციალურად მიიწვევენ. როგორც მან პრაღაში გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა, უკრაინას ესმის, რომ შესაძლოა, იყოს სირთულეები ალიანსის ყველა პარტნიორის ერთობლივი მხარდაჭერის მოპოვებაში. „ვიღაც მოსკოვისკენ იცქირება, ვიღაცას რუსეთის ეშინია, მაგრამ მჯერა, არსებობს დიდი შანსი მთელი ალიანსის გამბედაობისა და ძალის გამოჩენის“, - აღნიშნა მან და დასძინა, რომ უკრაინა ვილნიუსის სამიტზე მკაფიო და კონკრეტულ სიგნალს ელოდება ნატოში მიწვევის შესახებ.

* * *

ჩეხეთის პრეზიდენტ პეტრ პაველის განცხადებით, მისი ქვეყანა მზადაა, მხარი დაუჭიროს უკრაინას ვილნიუსში დაგეგმილ ნატოს სამიტზე და წვლილი შეიტანოს მის ფინანსურ დახმარებაში. „მიმაჩნია, რომ უკრაინას მხარი უნდა დავუჭიროთ ევროკავშირსა და ნატოში გაწევრიანებისკენ სწრაფვაში. ყველაფერს გავაკეთებთ ამისთვის. ვეცდებით, რომ მოლაპარაკებების პროცესი მიმდინარე წლის ბოლომდე დაიწყოს და მკაფიოდ იყოს ნათქვამი, რომ ევროპა მომავალში უკრაინასთან იქნება“, - აღნიშნა ჩეხეთის პრეზიდენტმა ვოლოდიმირ ზელენსკისთან შეხვედრის შემდეგ გამართულ ერთობლივ პრესკონფერენციაზე. მისივე თქმით, უკრაინას შეუძლია ჩეხეთის იმედი ჰქონდეს, რადგან „უკრაინის მხარდაჭერა არა მხოლოდ ომისგან დაზარალებული ქვეყნის მხარდაჭერაა, არამედ, უპირველეს ყოვლისა, ეს არის დახმარება ყველა ევროპელისთვის“.

* * *

აშშ-ის სახელმწიფო მდივანი ენტონი ბლინკენი რუსული ძალების მიერ უკრაინის ქალაქ ლვოვზე განხორციელებულ სარაკეტო თავდასხმას ეხმაურება და აცხადებს, რომ უკრაინის მიმართ აშშ-ის ვალდებულება ურყევია. „რუსეთის თავდასხმა დასავლეთ უკრაინის ქალაქ ლვოვზე კრემლის სისასტიკის კიდევ ერთი მაგალითია - ამიტომ არის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი კრემლის აგრესიისგან უკრაინის თავდაცვის მხარდაჭერა. უკრაინის მიმართ აშშ-ის ვალდებულება ურყევია“, - წერს ბლინკენი „ტვიტერზე“. ცნობისათვის, რუსეთის მიერ ლვოვზე განხორციელებული სარაკეტო თავდასხმის შედეგად დაღუპულთა რაოდენობა შვიდამდე გაიზარდა. სამძებრო-სამაშველო ოპერაცია გრძელდება.

* * *

უკრაინის შეტევა სწრაფად არ მიმდინარეობს, მაგრამ წინ მივიწევთ, - განაცხადა უკრაინის პრეზიდენტმა ვოლოდიმირ ზელენსკიმ პრაღაში, ჩეხეთის რესპუბლიკის პრეზიდენტ პეტრ პაველთან ერთად გამართულ პრესკონფერენციაზე. „ახლა ინიციატივა ჩვენია. შეტევა არ არის სწრაფი, ეს ფაქტია, მაგრამ ნამდვილად მივიწევთ წინ და არა უკან, როგორც რუსები და ამიტომ მე ამას დადებითად ვხედავ“, - განაცხადა ზელენსკიმ. თავის მხრივ, ჩეხეთის პრეზიდენტმა ხაზი გაუსვა, რომ მოკავშირეებმა უნდა გააკეთონ ყველაფერი, რაც შეუძლიათ, რათა დაეხმარონ უკრაინას კონტრშეტევაში წარმატების მიღწევაში. მისი თქმით, არარეალურია იმის მოლოდინი, რომ უკრაინა შეძლებს კიდევ ერთი კონტრშეტევის დაწყებას რამდენიმე კვირაში ან თვეში, „ამიტომ ჩვენ ყველაფერი უნდა გავაკეთოთ იმისათვის, რომ უკრაინამ წარმატებას მიაღწიოს ამ კონტრშეტევაში“, - აღნიშნა ჩეხეთის პრეზიდენტმა.

* * *

შეერთებული შტატები უკრაინისთვის სამხედრო დახმარების ახალ პაკეტს აცხადებს, რომელიც კასეტურ საბრძოლო მასალასაც მოიცავს, - ინფორმაციას CNN-ი აშშ-ის თავდაცვის უწყების ოფიციალურ წარმომადგენლებზე დაყრდნობით ავრცელებს. CNN-მა პირველად გასულ კვირას გაავრცელა ინფორმაცია, რომ ჯო ბაიდენის ადმინისტრაცია საკამათო იარაღის უკრაინისთვის გადაცემის საკითხს განიხილავდა, რადგან უკრაინელები კონტრშეტევაში მნიშვნელოვანი წარმატებების მიღწევისთვის იბრძოდნენ. აშშ-ის ოფიციალურმა პირებმა განაცხადეს, რომ ბოლო ორი კვირის განმავლობაში ბრძოლის ველზე პირობების შეცვლამ აშშ-ის ოფიციალური პირები აიძულა, კასეტური საბრძოლო მასალის საკითხის სერიოზული განხილვა დაეწყოთ. კასეტური საბრძოლო მასალები 100-ზე მეტ ქვეყანაშია აკრძალული, რადგან ისინი ავრცელებენ მცირე ბომბებს დიდ ტერიტორიებზე, რომლებიც შეიძლება ვერ აფეთქდეს დარტყმის დროს და რისკი, ნაღმების მსგავსად, შესაძლოა, ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში შექმნას. აშშ და უკრაინა ამ აკრძალვის ხელმომწერები არ არიან.

* * *

უკრაინის თავდაცვის ძალებმა ნაწილობრივ წარმატებას მიაღწიეს და ბახმუტის მიმართულებით კლეშჩეევკას რაიონში მაგრდებიან. მძიმე ბრძოლები გრძელდება, - ინფორმაციას უკრაინული მედია უკრაინის შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის პრესსპიკერ ანდრეი კოვალევკოზე დაყრდნობით ავრცელებს. მისი განცხადებით, თავდაცვის ძალები ბახმუტის მიმართულებით აგრძელებენ შეტევას, ბახმუტის ჩრდილოეთით და სამხრეთით აგრძელებენ მოწინააღმდეგეზე ზეწოლას და ადრე დაკავებული საზღვრებიდან გაძევებას.

* * *

უკრაინაში რუსეთის სრულმასშტაბიანი შეჭრის შემდეგ 9 000-ზე მეტი მშვიდობიანი მოქალაქე, მათ შორის, 500-ზე მეტი ბავშვი დაიღუპა, - ამის შესახებ უკრაინაში გაეროს ადამიანის უფლებათა სადამკვირვებლო მისიის ხელმძღვანელის მოადგილე ნოელ კალჰუნმა განაცხადა. ორგანიზაციაში აცხადებენ, რომ დაღუპულთა რეალური რიცხვი შეიძლება ბევრად მეტი იყოს, ვიდრე ოფიციალურადაა დადასტურებული. ამასთან, გაეროს მონაცემებით, მაისსა და ივნისში დაღუპული მშვიდობიანი მოსახლეობის რაოდენობის ზრდა დაფიქსირდა მას შემდეგ, რაც წლის პირველ ოთხ თვეში დაღუპულთა რიცხვი შედარებით შემცირდა. „დღეს ჩვენ აღვნიშნავთ კიდევ ერთ საშინელ ეტაპს ომში, რომელიც უკრაინის მშვიდობიან მოსახლეობაში საშინელ დანაკარგებს იწვევს“, - აღნიშნა ნოელ კალჰუნმა.

მოამზადა
ნაირა შუტკარაძემ

სანიტრებს, ექთნის დამხმარეებს და უმცროს ექიმებს მინიმალური ხელფასი დაუწესდებათ

ნაილე ხერთვისელი 27 48 93

სამედიცინო პერსონალისთვის სავალდებულო მინიმალური ხელფასის რეფორმის მოცვა ფართოვდება. ჯანდაცვის სამინისტროს ინიციატივით, ცვლილებების ახალი პაკეტი, რომელიც სანიტრის, უმცროსი ექიმის, ექთნის დამხმარისა და ექთნის თანაშემწის პოზიციაზე დასაქმებულებისთვის სავალდებულო მინიმალური ხელფასის დაწესებას გულისხმობს.

ახალი ინიციატივა კლინიკების ხელმძღვანელებს ჯანდაცვის სამინისტროს წარმომადგენლებმა შესთავაზეს. შეხვედრაზე აღინიშნა, რომ რეფორმა მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს დასაქმებულის მოტივაციისა და პროდუქტიულობის გაზრდას, ასევე, გააუმჯობესებს დასაქმებულთა სამუშაო პირობებსა და სამედიცინო მომსახურების ხარისხს. ცვლილებებთან დაკავშირებით, დარგის წარმომადგენლები ერთი კვირის განმავლობაში, საკუთარ მოსაზრებასა და არგუმენტებს წარადგენენ.

რეფორმის შედეგად, საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამაში სტაციონარული კომპონენტით ჩართული ყველა კლინიკა ვალდებული იქნება სამედიცინო პერსონალის სახელფასო ანაზღაურება ჯანდაცვის სამინისტროს მიერ წარმოდგენილი მინიმალური ზღვრის გათვალისწინებით დაადგინოს, წინააღმდეგ შემთხვევაში, სამედიცინო დაწესებულება საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამიდან ჩაიხსნება.

სამედიცინო პერსონალის სავალდებულო მინიმალური საათობრივი ანაზღაურების რეფორმის პირველი ეტაპი 2023 წლის ინვარიდან შევიდა ძალაში, რომლის მიხედვითაც ექიმების მინიმალური ანაზღაურება საათში 7 ლარით (თვეში მინიმუმ 1260 ლარი), ექთნების კი საათში 4.4 ლარით (თვეში მინიმუმ 792ლარი) განისაზღვრა.

თემურ მარშანიშვილი: შვიდივე ბრუნვაში გესიყვარულებით

ლაშა ხომერიკი 593 50 82 69

დღეს მრავალი ლიტერატურული გამოცემა - ჟურნალი თუ გაზეთი არსებობს. მათ შორის მკითხველთა ყურადღებითა და სიყვარულით გამოირჩევა „ლიტერატურული გურია“ - გაზეთი, რომელიც ოზურგეთში გამოდის და მისი მასშტაბები რეგიონალურს სცილდება. სრულიად საქართველოს მწერლები, პოეტები, პუბლიცისტები გვევლინებიან ამ გაზეთის ავტორებად, მათ შორის, აჭარაში მოღვაწე შემოქმედებიც, რომელთა ნაწარმოებები თითქმის ყველა ნომერში ქვეყნდება... გაზეთის რედაქტორია პოეტი და ჟურნალისტი თემურ მარშანიშვილი, პიროვნული ღირსებებითა და პროფესიონალიზმით გამორჩეული ადამიანი, რომელიც დღეს ჩვენი სტუმარია.



- ბატონო თემურ, ბევრი გიცნობთ როგორც ღირსებებით გამორჩეულ შემოქმედს... რა შეგიძლიათ მკითხველს უთხრათ, ვინ არის თემურ მარშანიშვილი?

- თემურ მარშანიშვილი ერთი, შვიდ ათეულ წელიწადს ახალგადაცილებული ქართველი, კოკათელი კაცია, რომელიც ცდილობს, ყველაზე მშვიდობიანი, ამავე დროს ყველაზე საშიში ინსტრუმენტით - კალმით ემსახუროს თავის ქვეყანას. ვერ გეტყვით, რომ დიდად წარმატებულია, მაგრამ როგორც ჟურნალისტს, ნახევარი საუკუნის განმავლობაში ხელი არ მოცარვია, სიტყვა არ გაქცევია და საგაზეთო სვეტი არ წაქცევია, რამეთუ იცის, რომ სიტყვას საქმე უნდა მოსდევდეს, უპირველესად. ოთხი პოეტური კრებულის ავტორია და, რაც ყველაზე მეტად ეამაყება, სამი შვილის მამა და ექვსი შვილიშვილის ბაბუაა.

- „ლიტერატურული გურიის“ ყოველ ახალ ნომერს თურმე დიდი ინტერესით ელოდებიან არა მარტო ავტორები, არამედ მკითხველები... როგორ შეძელით მოკლე დროში ასეთი პოპულარობის მიღწევა?

- „ლიტერატურული გურია“ ჩემი მეოთხე, სიბერეში გაჩენილი შვილია. 2019 წლიდან გამოდის, თვეში ერთხელ. გაზეთი დაარსდა აწ განსვენებული, პოეტ ჯემალ დობორჯგინიძის ინიციატივით, რომელიც მაშინ საქართველოს მწერალთა კავშირის გურიის ორგანიზაციას ხელმძღვანელობდა. დასაწყისში დიდი დახმარება გაგვიწია გაზეთ „ალიონის“ რედაქტორმა ნუგზარ ასათიანმა, რომელმაც თავისი გაზეთის ნახევარი ფართი დაგვითმო და ფაქტობრივად, აგვაცილა 14 ნომრის ბეჭდვის ხარჯები. ძალიან ხმამაღალი ნათქვამი თუ არ გამომივა, დღეს უკვე უყვარს ეს მომცრო გაზეთი გურიის მკითხველ საზოგადოებას. გვკითხულობენ, გვგულშემატკივრობენ. რასაკვირველია, ვემადლიერები ავტორებს, მაგრამ გაზეთის მაჯისცემა რომ ახლა ნორმის ფარგლებშია, ეს, უპირველესად, მკითხველის დამსახურებაა.

- გურიაში ყოველთვის გამორჩევით უყვარდათ ლიტერატურა და ხელოვნება. რას გიხსენებდით წარსულიდან?

- გურიას ჰყავდა, ჰყავს და ეყოლება ლიტერატურის, თეატრის, მხატვრობის, ფოლკლორის კორიფეები. ოზურგეთი ხომ საერთოდ, ფოლკლორის ქალაქია. წარსულიდან მე მაინც მუხრანის, მურმანისა და ანას მოწვევას გავიხსენებდი. ანასეულში პოეზიის მოყვარულთა კლუბი „მთიები“ მოქმედებდა და ამ კლუბის სულისჩამდგმელმა, ქობულეთელმა კაცმა გია თავაძემ შეძლო ამ დიდი საქმეების მოთავეობა. მაშინ გია ჩაისა და სუბტროპიკულ კულტურათა საკავშირო სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ეკონომიკის განყოფილების მეცნიერ-თანამშრომელი იყო.

- „ლიტერატურულმა გურიამ“ ფართოდ გაუღო კარი სრულიად საქართველოს მწერლებს, აჭარიდანაც ბევრი სტუმრობს თქვენს გაზეთს... ეს უკვე ტრადიციად დაამკვიდრეთ?

- ჩვენი გაზეთის ერთ-ერთი წამყვანი რუბრიკაა „სტუმარი“. ამ რუბრიკით თითქმის ყველა ნომერში, პირველ გვერდზე წარმოვაჩენთ საქართველოს ყველა კუთხეში მოღვაწე მწერლების შემოქმედების რაღაც ნაწილს. „სტუმარის“ პირველი სტუმარი აჭარიდან ბატონი ვახტანგ ღლონტი გახლდათ. მოკლედ, სტუმარი მხოლოდ ღვთის არ არის, „ლიტერატურული გურიასიცაა“.

- როგორც ვიცით, გაზეთის გამოცემით არ შემოიფარგლებით, ხელს უწყობთ გურიის რეგიონის ლიტერატურულ წინსვლას ფესტივალებისა და კონკურსების ორგანიზებითა და მხარდაჭერით. თუნდაც პაატა მახარაძის (ბართოლომეოს) ხსოვნისადმი მიძღვნილი ფესტივალი გვაქვს მხედველობაში... მოუთხრეთ ამის თაობაზე მკითხველს.

- ლიტერატურულ ფესტივალებამდე ჯერ არ მივსულვართ, ვაპირებთ. რაც შეეხება პაატა მახარაძის სახელობის ლიტერატურულ კონკურსს, მისი დასკვნითი ღონისძიება - გამარჯვებულთა, პრიზიორთა, ნომინანტთა დაჯილდოება, კონკურსის სამუსიკო ლოგოს პრეზენტაცია და საზეიმო კონცერტი შედგება 22 ივლისს, 18 საათზე, ოზურგეთის სახელმწიფო თეატრში. გადაეცით თანამშრომლებს, ყველას გეპატიჟებით. კონკურსის დამფუძნებელია გერმანიაში მოღვაწე ნატანებელი მუსიკოსი ბართოლომეო და ბათუმელთათვის კარგად ცნობილი ვიოლინოს ჯადოქარი ბელა ბერკემერ-მახარაძე, ორგანიზატორი - ბათუმში მცხოვრები პოეტი და გამომცემელი სოფიო ღლონტი.

- თქვენი ლექსების ახალმა კრებულმა იხილა მზის სინათლე, ჰოდა, რა თქვეს წამკითხველებმა, გაგიგეს ნათქვამი? ახლა რას ფიქრობთ, როცა თავად უბრუნდებით დაწერილ სტრიქონებს?

- „ჩემი ჩამიჩუმები“ - ასე ჰქვია მეოთხე წიგნს, რომელიც სწორედ სოფიო ღლონტის გამომცემლობა „ოდამ“ დაბეჭდა. რახან მწერენ და მეხმიანებიან, ესე იგი მოეწონათ. მადლობელი ვარ მკითხველის. გამოსაცემად მზად მაქვს რიგით მეხუთე კრებული, პირობითი სათაურით - „რაც მოვასწარი“.

> ❝ არ ვიცი, ვის როგორ, მაგრამ ენაში ამდენი უცხო სიტყვების შემოჭრა და დამკვიდრება, მშვენიერ სხეულზე იმ ათასგვარი უგემოვნო ტატუს დადებას ჰგავს, რომელსაც ვერ ჩამორეცხავ, ვერ მოაშორებ. უბედურება ისაა, რომ ყველაზე უდიერად ენას მედიასაშუალებები ეპყრობიან. ენისადმი ასეთი დამოკიდებულების აღსაკვეთად, გარკვეული სანქციების დაწესებასაც კი მოვაწერდი ხელს

- რას ვუტოვებთ შვილებს?

- მშობლიურ მიწა-წყალზე, ეროვნულ ტრადიციებზე, ადათ-წესებზე უკეთესს ვერაფერს დავუტოვებთ.

- ქართული ენა - რუსთაველის დროში და ახლა... მომავალი როგორ გესახებათ?

- ყველაზე მტკივნეული კითხვაა. რუსთაველის დროს ენას, ალბათ, ამდენი საშიშროება არ ემუქრებოდა. დღეს ბარბარიზმების გამოისობით ყველაზე ბარბაროსულად სწორედ მშობლიურ ენას ვექცევით. არ ვიცი, ვის როგორ, მაგრამ ენაში ამდენი უცხო სიტყვის შემოჭრა და დამკვიდრება მშვენიერ სხეულზე იმ ათასგვარი უგემოვნო ტატუს დადებას ჰგავს, რომელსაც ვერ ჩამორეცხავ, ვერ მოაშორებ. უბედურება ისაა, რომ ყველაზე უდიერად ენას მედიასაშუალებები ეპყრობიან. ენისადმი ასეთი დამოკიდებულების აღსაკვეთად, გარკვეული სანქციების დაწესებასაც კი მოვაწერდი ხელს.

- ოზურგეთის უნიკალურ ჭადრების ბაღზე უნდა გკითხოთ... მგონი, ძველებურად აღარ შრიალებენ... რატომ გამოხშირეს?

- „ჭადრების ბაღი“ ოზურგეთის გულისგულია. რამდენადაც ვიცი, არ გამოუხშირავთ, ზამთრის დროს თოვლისგან მექანიკურად დაზიანებული და ხმელი ტოტები მოაშორეს, შემდეგ კი მთლიანად რესტავრაცია ჩაუტარეს. რაც შეეხება „ჭადრების ბაღსა“ და თეატრს შორის არსებულ ქვაფენილზე რკინის გრძელი ყუთების განთავსებას, მათში მარადმწვანე მცენარეების ჩარგვას, მოსახლეობის სამართლიანი უკმაყოფილება მოჰყვა. ჩემ ხელთ არსებული ინფორმაციით, მისი იერსახე მალე შეიცვლება. რესტავრაციის პროცესშია კულტურისა და დასვენების ცენტრალური პარკი. კეთილმოეწყო თეატრისა და „სამკუთხას“ სპორტული ბაზის ტერიტორიაზე არსებული ბაღი, რომელსაც ხალხი „პაემანის ბაღს“ ეძახის. შენდება სპორტული კომპლექსი.

- რჩევა ახალგაზრდებს და ხანდაზმულებს...

- საიმედო ახალგაზრდები გვყავს, ცოტა ჩქარი, ზედმეტად ტემპერამენტიანი. ამიტომ, ნებისმიერი საკითხის ძირეულად შესწავლა, „ასჯერ გაზომვა და ერთხელ გაჭრა“ მინდა ვურჩიო. ხანდაზმულებს აბა, მე, მათსავით ხანდაზმულმა, რა უნდა ვურჩიო? ზოგჯერ აქეთ მაძლევენ რჩევას, არც თუ ურიგოს.

- ახლა გაზეთ „აჭარის“ მკითხველებს ესაუბრებით, ამ საუბარს როგორ დაამთავრებთ, რაა თქვენი უმთავრესი გზავნილი აჭარისათვის, ბათუმელებისათვის?

- ცოტა ხანგრძლივი საუბარი გამომივიდა და, პირველ რიგში, მოვუბოდიშებ ამის გამო. ბათუმი და ბათუმელები ყოველთვის ქათქათებდნენ როგორც ფიზიკურად, ისე სულიერად. აჭარას ბავშვობიდანვე სიყვარულში გამოვუტყდი, ბებიაჩემი ცხოვრობდა ბათუმში და თითქმის ყველა ზაფხულს იქ ვატარებდი. სიყვარული კი, ყოველგვარი შერეკილობის გარეშე, მუდმივია, თანაც ბრუნვადი და სანამ ვიქნები, შვიდივე ბრუნვაში გესიყვარულებით.

აჭარის ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტის ინფორმაციით...

მთიან აჭარაში ტურისტული ინფრასტრუქტურა ეწყობა - მირვეთი, ღომა, ნამეფვარი, ბრილი, ჩალეწილები, ლელთის ტბა იმ 10-მდე ტურისტულ მიმართულებას შორისაა, სადაც მცირე ტურისტული ინფრასტრუქტურა და საპიკნიკე სივრცეები ეწყობა

ასეთი სივრცეების მოწყობა-განახლება, ძირითადად, აჭარის მუნიციპალიტეტებში არსებულ ტურისტულ ბილიკებზე მიმდინარეობს. მათ შორის ერთ-ერთი პოპულარული ტურისტული ადგილია სოფელი მირვეთი, სადაც ულამაზეს ჩანჩქერთან მისასვლელი ბილიკის კეთილმოწყობა და მოსასვენებელი სივრცეების განახლება მიმდინარეობს.

ბილიკზე მიმდინარე სამუშაოებსა და ტურისტულ ადგილებს ტურიზმის დეპარტამენტის ხელმძღვანელი აჭარის ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრთან, ხელვაჩაურის მერიის წარმომადგენლებთან, საგზაო დეპარტამენტის ხელმძღვანელსა და უმაღლესი საბჭოს დეპუტატებთან ერთად გაეცნო. იქვე გიდებისა და ადგილობრივების ჩართულობით განიხილეს ყველა ის შესაძლებლობა, რაც მირვეთსა და, ზოგადად, სოფლად არსებულ ტურისტულ მიმართულებებს განვითარებაში დაეხმარება.

სოფელი მირვეთი მაჭახელას ხეობაში, ბათუმიდან 27 კილომეტრში მდებარეობს. მთისა და ზღვის ჰაერით გაჯერებული მირვეთი ერთ-ერთი ულამაზესი სოფელია აჭარაში, მყუდრო, მწვანეში ჩაფლული ჭოროხის ნაპირებით. სოფელში შეხვდებით გადაშენების პირას მყოფი, წითელ წიგნში შეტანილი კოლხური ბზის ხეივანს, XII საუკუნეში აგებულ თაღოვან ხიდის.

ბზის ხეებით დაბურულ ხეობაში მდებარე მირვეთის ჩანჩქერი 20 მეტრის სიმაღლიდან ეშვება. აქვეა მოწყობილი საპიკნიკე ტერიტორიაც, სადაც კარვების გაშლა, მდინარეში ბანაობა და კატერით გასეირნებაა შესაძლებელი.

აჭარაში ახალ და საინტერესო ტურისტულ პროდუქტებზე მიმდინარეობს მუშაობა. ხიხანის ციხეზე ასასვლელი ტურისტული ბილიკისა და ქობულეთის დაცულ ტერიტორიებზე ტურისტული ინფრასტრუქტურის მოწყობა, ჯვარიმინდორის ტურისტული თავშესაფრები, საპიკნიკე სივრცეები და სამთო ველობილიკი იმ პროექტებს შორისაა, რომლებსაც რეგიონი ტურისტებს სთავაზობს.

წელს ასევე იგეგმება რეგიონში არსებულ 5-მდე ჩანჩქერთან და გულების ციხესთან მისასვლელი ბილიკებისა და გადმოსახედი კოშკურის დაპროექტება, რომლის მოწყობაც უკვე გაისად დაიწყება. ბოლო წლებში მთიან აჭარას 5-ზე მეტი ახალი საპიკნიკე ზონი შეემატა. ჯამში აჭარაში 25-ზე მეტი ტურისტული საფეხმავლო-სათავგადასავლო მარშრუტია.

ამირან ბურიელიძე

გოგინაურის სკოლას რეაბილიტაცია ჩაუტარდება

20 წლის წინ აგებული გოგინაურის საჯარო სკოლის შენობას რეაბილიტაცია ჩაუტარდება. ჩვენი სტუმარია სკოლის დირექტორი ლევან გოგიტიძე

- ისტორიულ წყაროებს თუ ვერწმუნებით, გოგინაურის პირველმოსახლენი 3 ათასი წლის წინათ იმერხევიდან გადმოსულან. ქვეყნის სხვა ტერიტორიების მსგავსად, მტრის რისხვას ვერც გოგინაური გადაურჩა. ამის დასტურია ის ტოპონიმებიც, რომლებიც თაობიდან თაობას გადაეცემა. მალე გოგინაურში ქართული სკოლის აღდგენის საუკუნოვან იუბილეს ვიზეიმებთ. ჩემი თაობის პედაგოგებს გვეამაყება, რომ ამ ისტორიული მოვლენის მომსწრენი და მისი მაღალ დონეზე აღნიშვნის მოთავენი ვართ. ადრე ხშირად ამბობდნენ, სოფელში მე-20 საუკუნის დასაწყისში, ქართულის წერა-კითხვის მცოდნე არ იყოო, რასაც ვერ დავეთანხმები. ჩვენებური დურსუნ გოგიტიძე როტშილდის ქარხნის მუშა იყო. სამი ენა (ქართული, რუსული და არაბული) იცოდა. მან და ჯაბნიძეებელმა სულეიმან ზოსიძემ მეამბოხე იოსებ ჯუღაშვილი, დიდი რისკის ფასად, სიკვდილისგან იხსნეს. აჭარა დადასამშობლოს რომ დაუბრუნდა, ამაში გოგინაურელების წვლილიცაა. აქაურებს საქმიანი ურთიერთობები აკავშირებთ ოლადაურელ ლომან-ეფენდი ქარცივაძესთან. მამაჩემი ვეტერანი, 80 გადაცილებული პედაგოგია. ის იმ ადამიანებსაც ასახელებს, რომლებიც დედაბრულ დამწერლობას იყენებდნენ. ყველაფერმა ამან უკანა პლანზე გადაიწია, როცა სოფელში ქართული სკოლა აღდგა. მის კედლებში მრავალი ღირსეული, ერისა და ქვეყნის პატრიოტი აღიზარდა. სამაგალითოდ ანზორ გოგიტიძეც კმარა. მან შუახევის რაიონის ხელმძღვანელობის, ქვეყნის უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოში მოღვაწეობის წლებში, სოფელს, რაიონს, ქვეყნის მაღალმთიან რეგიონებს საშვილიშვილო საქმე გაუკეთა - ახლა მოქმედი «მთის კანონი» მისი, ოთარ ღორჯომელაძის, მარინა მოლოდინის ინიციატივა იყო. იმ წლებში სოფელში სკოლა, კულტურის სახლი აიგო. გამოვიყვანეთ სასმელი წყალი, მთა საბერწიაზე დენი გავიდა, სოფელში შემოსასვლელი საავტომობილო გზა შეკეთდა. ვეტერან პედაგოგებს ის დროც ახსოვთ, როცა ანზორ გოგიტიძე გოგინაურის სკოლის პედაგოგი იყო. უკვე 70 წელი მოიტოვა უკან. სოფელში, მამისეულ კერაზე რომ შემოივლის, სკოლაშიც გვსტუმრობს.

- მთაში შენობის აგება დიდ სირთულებთანაა დაკავშირებული, მისი მოვლა-პატრონობა უფრო მეტთან...

- არ ვდავობ, შენობა, ისიც ქვითკირით ნაგები, ხელდასმას ყოველწლიურად ითხოვს. ეს გაითვალისწინეს აჭარის მთავრობაში და გასულ წლებში მნიშვნელოვანი თანხები გამოიყო შენობის ფასადის შესაკეთებლად, სველი წერტილების მოსაწესრიგებლად. სკოლას ღია სპორტული მოედანი არ ჰქონდა, ისიც გაკეთდა. სამივე სართულზე არსებული საკლასო ოთახების, კაბინეტ-ლაბორატორიების რეაბილიტაციის პროექტი მზადაა. თანხები აჭარის მთავრობის ბიუჯეტიდან გამოიყოფა. ჩვენი მიზანია, სარეაბილიტაციო სამუშაოები კონკურსში გამარჯვებულმა კომპანიამ ისე წარმართოს, რომ სასწავლო პროცესი არ შეფერხდეს.

სათბობით მომარაგება. ახლა რა მდგომარეობაა?

- შუახევის მუნიციპალიტეტში სკოლების შენობები უკვე დიზელის საწვავით თბება, რამაც გაამართლა. რეაბილიტაციის პროექტში გათბობის სისტემის დამონტაჟებაც იქნება გათვალისწინებული, რაც უფრო მოსახერხებელი და კომფორტულია. წელსაც კი ისევ შეშის ღუმელებით გათბობაზე ვრჩებით. 52 კუბური მეტრი შეშის შემოტანა მოგვიწევს. კომპეტენტური ორგანოებიდან თანხმობას ველოდებით, რომ მეწარმესთან ხელშეკრულება გავაფორმოთ და სკოლა სათბობით ზაფხულშივე მოვამარაგოთ. გამოცდილებით ვიცით, როცა ამინდები უარესდება, ტყეკაფად გამოყოფილ კვარტლებში ტრანსპორტი რთულად გადაადგილდება. ამიტომ ეს პრობლემა დროზე უნდა მოგვარდეს.

> ***„შუახევის მუნიციპალიტეტში სკოლების შენობები უკვე დიზელის საწვავით თბება, რამაც გაამართლა. რეაბილიტაციის პროექტში გათბობის სისტემის დამონტაჟებაც იქნება გათვალისწინებული, რაც უფრო მოსახერხებელი და კომფორტულია. წელსაც კი ისევ შეშის ღუმელებით გათბობაზე ვრჩებით. 52 კუბური მეტრი შეშის შემოტანა მოგვიწევს. კომპეტენტური ორგანოებიდან თანხმობას ველოდებით, რომ მეწარმესთან ხელშეკრულება გავაფორმოთ და სკოლა სათბობით ზაფხულშივე მოვამარაგოთ***

- მთის სოფლების დაცარიელება მოსწავლეთა კონტინგენტზეც უარყოფითად აისახება.

- სოფელში ცხოვრების პირობები უკეთესობისკენ რომ შეიცვალა, ეს აშკარაა. ამის მიუხედავად, მოსახლეობა გოგინაურსაც ტოვებს. ზოგიერთი სოფლის მსგავსად, ჩვენთან საგანგაშო მდგომარეობა არაა. გასულ სასწავლო წელს 9 მოსწავლემ დაამთავრა სკოლა, ახალ სასწავლო წელს 3 პირველკლასელი გვეყოლება. წინასწარი გათვლებით, კონტინგენტი 40 მოსწავლეს გადაამეტებს.

- მთის სკოლებში კვალიფიციური პედაგოგების ნაკლებობაა. თქვენთან როგორაა საქმე?

- ახალ სასწავლო წელს 16 მასწავლებელი შეუდგება სკოლაში მუშაობას. სამი მათგანი პრაქტიკოსი მასწავლებელია. არცერთ სასწავლო დისციპლინაში პედაგოგი არ გვაკლია.

- ყოველთვის პრობლემა იყო სკოლების შეშის შემოტანა მოგვიწევს. კომპეტენტური ორგანოებიდან თანხმობას ველოდებით, რომ მეწარმესთან ხელშეკრულება გავაფორმოთ და სკოლა სათბობით ზაფხულშივე მოვამარაგოთ. გამოცდილებით ვიცით, როცა ამინდები უარესდება, ტყეკაფად გამოყოფილ კვარტლებში ტრანსპორტი რთულად გადაადგილდება. ამიტომ ეს პრობლემა დროზე უნდა მოგვარდეს.

- სოფელში არსებული კულტურის სახლი სისტემაში მიმდინარე რეფორმამ შეიწირა, აღარც სასოფლო ბიბლიოთეკა გაქვთ. ახლა ყველა ღონისძიება სკოლას უკავშირდება. თავს როგორ ართმევთ?

- გოგინაური, მეზობელი კვიახიძეები, ლომანაური, დღვანი ცეკვა-სიმღერის მოტრფიალეთა სოფლებად ითვლება. აქაურებმა თავიანთი ხელოვნება მსოფლიოს რამდენიმე ქვეყანაში გაიტანეს. სოფელი მუდამ კეთილად იხსენებს აბესალომ, შაქრო, შოთა ფუტკარაძეებს, ოთარ, ბესარიონ, ლევან გოგიტიძეებს. მათ თავის დროზე ბევრი გააკეთეს ეროვნული ფოლკლორის გამდიდრება-პოპულარიზაციისთვის. ახლა მეტწილი ტვირთი ჩემსა და ჩემს კოლეგებზე - თამაზ დიასამიძეზე, იმედა მუკუტაძეზე, გულნაზ ფუტკარაძეზე გადმოვიდა. ვუმკლავდებით. იმედია, გოგინაურის კულტურის სახლი თავის ფუნქციას დაიბრუნებს. იმ დროსაც ველოდებით, როცა სოფელში ბიბლიოთეკა გვექნება.

- თქვენი წინამორბედები ამაგს უფასებდნენ, ღორსეულ პატივს მიაგებდნენ შრომისა და ომის გმირებს. დღემდე ასე გრძელდება თუ...

- გოგინაური ღირსეული ადამიანების სოფელია. შრომისა და ომის გმირების პატივგებას ანზორ, ალიოსმან, ბესარიონ, ზურაბ გოგიტიძეებმა დაუდეს სათავე. მათ მოიძიეს და საზოგადოებას დაუტოვეს ჩვენი თანასოფლელის, მეორე მსოფლიო ომის მონაწილე სადეთინ გოგიტიძის საგმირო საქმეები. მემორიალური დაფა გაუკეთეს ჰარუნ გოგიტიძის საცხოვრებელ სახლს. სოფელს კარგად ახსოვს ლევან, ოთარ, ზურაბ გოგიტიძეების ამაგი. მალე მათ საცხოვრებელ სახლებზე მემორიალური წარწერები გაკეთდება. ლევანი წლების განმავლობაში სოფლის ხელმძღვანელი იყო, ოთარი ხელოვნებით იყო გატაცებული და სოფლის კულტურის სახლის დირექტორად მუშაობდა. წლების განმავლობაში გოგინაურის 8-წლიანი სკოლის დირექტორი იყო ზურაბი.

- სოფელს სახელოვანი ქალბატონებიც ჰყავს...

- კარგად მახსოვს 1993 წლის ივნისის მზიანი დღე, როცა ჩვენი თანასოფლელი ქალები თურქეთის რესპუბლიკაში, გალათასარაის საერთაშორისო ფესტივალზე გაემგზავრნენ და იქიდან ლაურეატის მედლებით დაბრუნდნენ. ეროვნული მეურნეობის ყველა დარგში არიან ჩვენი ქალბატონები დასაქმებულები და წარმატებითაც.

- ისევ სასკოლო მუშაობას დავუბრუნდეთ - პედაგოგთა მუშაობა კურსდამთავრებულების მიერ ერთიან ეროვნულ გამოცდებზე მიღებული შედეგებით იზომება...

- გვემაყება, რომ ჩვენი კურსდამთავრებულების თითქმის 95 პროცენტი სტუდენტი ხდება. კვალიფიციური უმაღლესი განათლების მიღების შემდეგ, სახელმწიფო სტრუქტურებსა და კერძო სექტორში საქმდებიან და დაკისრებულ მოვალეობას თავს წარმატებით ართმევენ.

მთა ღომას ტურისტული პოტენციალის ათვისება იწყება

«აჭარა» არაერთგზის წერდა აჭარა-შავშეთის ქედის ერთ განშტოებაზე არსებული მთა ღომას ტურისტული პოტენციალის სიკეთეზე, მისი რეგიონისა და კუთხის მოსახლეობის კეთილდღეობის სამსახურში ჩაყენების აუცილებლობაზე. იყო შეპირებები, მაგრამ პრაქტიკული ნაბიჯი არ გადადგმულა. სოფლის მეურნეობის განვითარების საერთაშორისო ფონდ «იფადის» თანხებით გაკეთებული ამ მთაში მისასვლელი საავტომობილო გზაც კი ერთ ხანს პატრონის გარეშე დარჩა

ბოლო დროს რეგიონისა და შუახევის მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობის მზრუნველი ხელი ამ მთასაც მისწვდა. ადგილობრივი ბიუჯეტიდან მობილიზებული თანხებით მთა ღომაზე სტადიონის მშენებლობა დაიწყო. აჭარის საავტომობილო გზების დეპარტამენტის ხელმძღვანელობამ გზის მოვლა ითავა. მოწესრიგდა შიდა ელექტროგაყვანილობის ქსელი. კონკურსში გამარჯვებული კომპანიისა და მისი ქვეკონტრაქტორი მეწარმის საქმისადმი დაუდეგარი მიდგომა შუახევის მუნიციპალიტეტის მერის პირველი პირების დროული ჩარევით გამოსწორდა. ახლა მთაში მყოფ მეცხოველეებს დენი შეუფერხებლად მიეწოდება.

მთა ღომას ტურისტული პოტენციალის ათვისების წინაპირობად უნდა ჩაითვალოს საქართველოს კურორტების განვითარების სააგენტოს ხელმძღვანელ ალექსანდრე ონოფრიშვილის, კურორტების განვითარების სააგენტოს ექსპერტ-მრჩევლის, ასოცირებული პროფესორის ტურიზმის მიმართულებაში გიორგი ქემერტელიძის აქ ჩამოსვლა, ტერიტორიის მონახულება, ყველა ნიუანსით დაინტერესება. სტუმრებს მეგზურობას ქედის მუნიციპალიტეტის პასუხისმგებელი მუშაკი რაულ ცინცაძე უწევდა. აქ მათ დახვდნენ შუახევის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე როსტომ ლორთქიფანიძე, მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე მირიან აბაშიძე, საკრებულოს კომისიის თავმჯდომარე ედნარ კეყერაძე. მათ დაინტერესებული პირები წინაველაზე აიყვანეს, საიდანაც საინტერესო ხედები იშლება.

- ქვეყნის მრავალი ტერიტორია მაქვს მოვლილი, მაგრამ ასეთ ადგილზე პირველად ვარ. ზღვის დონიდან 2200 მეტრი სიმაღლიდან ხიხანის ციხეც მოჩანს და დაბა ხულოს ცენტრიც. მარცხნივ გაიხედავ და მერისის ხეობის სოფლები მოგტაცებს თვალს, მეზობელი თურქეთის რესპუბლიკის თოვლით დაფარული მთებიც ხელისგულზე იშლება. ეს სამოთხეა მთაში, - თქვა გიორგი ქემერტელიძემ.

მთა ღომაზე ტყეც კარგადაა შენახული. ადგილობრივები მადლიერებით იხსენებენ აწ განსვენებულ მეტყევეებს ნოდარ აბუსელიძეს, ახმედ ბერიძეს, ბაირამალ ნაკაშიძეს. ალექსანდრე ონოფრიშვილმა უპირველესად სწორედ ბუნების ამ განძს მიაქცია ყურადღება. მასპინძლებმა მას საჭირო ინფორმაციები მიაწოდეს.

მთა ღომა და მისი შემოგარენი, ნამონასტრევიდან დაწყებული მოფრინეთით დამთავრებული, სამკურნალო წყლებითაცაა მდიდარი. ერთ დროს მინერალური წყლის «უჩამბის» ჩამოსხმაც და ქვეყნის ფარგლებში რეალიზაციაც დაიწყო. ძვალ-სახსრების სამკურნალო წყალია კილდიძირის ტერიტორიაზე, კუჭ-ნაწლავის დაავადებებს კურნავს გუდნას ტერიტორიაზე არსებული წყლები, რომელსაც ადგილობრივი მოსახლეობა «აბანოებს» უწოდებს. ტურისტული სააგენტოს ხელმძღვანელი ამ წყლებითაც დაინტერესდა.

- გერმანიაში აჭარის მთავრობის თავმჯდომარე თორნიკე რიჟვაძესთან ერთად გახლდით. იქ მთხოვა, მთა ღომას, სხვა მთების ტურისტული პოტენციალის ათვისებაზე მეზრუნა. პირველ დღეებში აჭარა-გურიის ქედზე არსებული კურორტი გომი მოვინახულე. იქ სრული განუკითხაობა ვნახე. უკვე 2000-მდე კოტეჯი უნებართვოდაა აშენებული. ასეთი პროცესები ამ მშვენიერ ტერიტორიაზეც რომ არ დაიწყოს, დროულად უნდა მივიღოთ ზომები. დავიწყებ ღომას ტერიტორიული პოტენციალის ათვისების პროექტზე მუშაობას, რომელიც წლის ბოლოსთვის მზად იქნება. იმედია, გამოჩნდება კომპანიები, რომლებიც აქ სასტუმროების მშენებლობას დაიწყებენ, - თქვა ალექსანდრე ონოფრიშვილმა.

გვერდი მოამზადა
ოთარ ცინარიძემ

„როლი მაშინ არის კარგი, როცა მასზე ფიქრში შეგიძლია გაათენო“

მარიამ ხითარიშვილი 27 48 93



ჩვენი დღევანდელი სტუმარი, ნიჭიერი დამწყები მსახიობი ***ტამანგო ჯღერია.*** *ის ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის დრამისა და კინოს სამსახიობო ფაკულტეტის მე-4 კურსის სტუდენტია. უკვე რამდენიმე სპექტაკლში მიიღო მონაწილეობა, მათ შორის გაბრიელ გოშაძის მიერ ბათუმის დრამატულ თეატრში დადგმულ „დედა კურაჟში“, პერიოდულად სხვადასხვა ფესტივალისა და ღონისძიებების წამყვანად გვევლინება. ბათუმურ ტელესერიალ „პორტო ფრანკოშიც“ გადაიღეს, აქ განსახიერებული პერსონაჟით ხალხს თავი შეაყვარა. გვინდა ეს მრავალმხრივ ნიჭიერი ადამიანი მკითხველს უკეთესად გავაცნოთ.*

- ტამანგო, რამ განაპირობა თქვენი არჩევანი, გამხდარიყავით დრამისა და კინოს მსახიობი?

- პირველ რიგში, გმადლობთ ინტერვიუსთვის. როგორც მიყვებიან და მახსოვს, ყოველთვის მქონდა სცენისკენ მიდრეკილება. თავდაპირველად, თეატრის სცენის ნაცვლად (ბაღის და სკოლის პერიოდს თუ არ ჩავთვლით) სტადიონზე, ანუ „საფეხბურთო სცენაზე“ გამოვდიოდი. თამაშიც კარგად გამომდიოდა, თუმცა ერთ-ერთი მატჩის მსვლელობისას, როცა ტრიბუნაზე გოგონა მომეწონა და ლექსი წავუკითხე, მწვრთნელი (რატომღაც) ძალიან გაბრაზდა. მშობლებს უთხრა, რომ კარგი ბიჭი ვარ, მაგრამ არ ვარ ნორმალური და ფეხბურთს ცოტა სხვა ხასიათის ადამიანი სჭირდება. არადა, ის მატჩი მაინც მოვიგეთ. ფეხბურთელობის დროს დამეწყო ფიქრები, რომ მსახიობობა მინდოდა, თითქოს გულში წლების განმავლობაში რაღაც მწიფდებოდა და უცებ აფეთქდა. ღამეები არ მეძინა და გულისხმა არ მასვენებდა, მეძახდა, რომ აუცილებლად უნდა ჩამებარებინა სამსახიობოზე. სანამ ჩავაბარებდი თეატრალურ სტუდია „პიეროში“, ამავე სტუდიის რეჟისორმა ნიკოლოზ ლუარსაბიშვილმა ქასთინგი გამოაცხადა სპექტაკლისთვის „დიდი თევზი“, რომელიც წარმატებით გავიარე და პირველი ნაბიჯები გადავდგი სამსახიობო ხელოვნებაში ტატა ეჯიბიასთან, ნიკოლოზ ლუარსაბიშვილთან, გია ბიძია კიტიასთან და საოცარ ადამიანებთან ერთად, რომლებთანაც დღემდე ვმეგობრობ. მადლიერი ვარ, რომ ყველაფერი „პიეროში“ დაიწყო, თუმცა ასეთივე წარმატებული არ ყოფილა მომდევნო ნაბიჯები. მისაღებ გამოცდებზე რამდენიმეჯერ ჩავიჭერი, მაგრამ ამან ვერ გამტეხა. ჩემი გულისხმა უფრო შემართებით მეძახდა, რომ არ უნდა დავნებებულიყავი. მხოლოდ გულისხმა არა მგონია, საკმარისი ყოფილიყო. ჩემი მშობლები, თ. ლ. და კეთილის მსურველი ადამიანები რომ არა, ძალიან გამიჭირდებოდა. საბოლოოდ მიზანს ბათუმში მივაღწიე და წილად მხვდა ბედნიერება, მესწავლა ხელოვნების უნივერსიტეტში, გავმხდარიყავი რეჟისორ მერაბ ლებანიძის სტუდენტი. ეს ფაქტი ჩემთვის მთელი ცხოვრება საამაყო იქნება. წარუმატებელ წლებში მიღებული გამოცდილება ძალიან დამეხმარა მომდევნო ხანებში სირთულეების უკეთ გამკლავებაში. მადლიერი ვარ, რომ ასე მოხდა. ამან ბევრი მასწავლა და გამაძლიერა. მეოთხეკურსელი ვარ და რა თქმა უნდა, ამ პროფესიაში, ჯერ იმდენი არაფერი გამიკეთებია, რომ საკუთარ თავს დრამისა და კინოს მსახიობი ვუწოდო. შემდგარ მსახიობად ჩამოყალიბებას დაუღალავი შრომა, დრო და გამოცდილება სჭირდება. საბოლოოდ, მისი უდიდებულესობა მაყურებელი გადაწყვეტს ყველაფერს. ღმერთის წყალობით, 50 წლის ასაკში თუ ყველაფერი კარგად იქნება, ალბათ გავბედავ და ვიტყვი, რომ კი - მსახიობი ვარ. 25 წლის შემდეგ ისევ ჩავწეროთ ინტერვიუ და შედარება გავაკეთოთ (იცინის).

- ბათუმის დრამატული თეატრის სპექტაკლ „დედა კურაჟში“ მონაწილეობთ. როგორი ატმოსფერო დაგხვდათ?

- გაბრიელ გოშაძის მიერ დადგმულ „დედა კურაჟში“ ბათუმის დრამატული თეატრის მსახიობ მარინა ბურდულის წყალობით მოვხვდი, რისთვისაც მადლიერები ვართ მე და ჩემი ჯგუფელები. მეორე კურსის ბოლოს მიგვიწვიეს თეატრში. მახსოვს, როცა პირველ კურსზე ვიყავი, თეატრის საერთაშორისო დღეს თეატრთან ფოტო გადავიღე... ვთქვი, რომ ერთ მშვენიერ დღეს აქ აუცილებლად ვითამაშებდი, მაგრამ ნამდვილად არ ველოდი, თუ ეს მეორე კურსიდან მოხდებოდა. თავისი კარგი თუ ცუდი მხარეებით, საინტერესო ატმოსფერო და სამუშაო პროცესი იყო. მე და ჩემი ჯგუფელები მიუხედავად იმისა, იყო თუ არა რეპეტიცია, სულ თეატრში ვიყავით და მაქსიმალურად ვცდილობდით, გამოგვეყენებინა მომენტი და გვენახა, როგორ იდგმებოდა სპექტაკლი. შესვენების დროს დასის გამგე თეონა ლორთქიფანიძე თეატრის ძველი სპექტაკლების ჩანაწერებს გვაჩვენებდა და ისტორიებს გვიყვებოდა, რეპეტიციებისას კი, სანამ ჩვენი სცენების დრო მოვიდოდა, ამფითეატრში საათობით ვისხედით და სხვა მსახიობებს ვუყურებდით. ბატონი გაბრიელი, მსახიობები და თეატრის თანამშრომლები ძალიან თბილად დაგვხვდნენ. რეჟისორი ცდილობდა, რომ მაქსიმალურად თავისუფლად ვყოფილიყავით სცენაზე და დაძაბულობაც მალევე მოგვეხსნა, მსახიობები კი კარგ რჩევებს გვაძლევდნენ. მოკლედ, რომ ვთქვა, კარგი და საჭირო პერიოდი გავიარეთ. იმედი მაქვს, ეს გაგრძელდება და ახალ სეზონზე ბევრჯერ ვითამაშებთ ბათუმის დრამატულ თეატრში... არამხოლოდ „დედა კურაჟში“.

- როგორ ფიქრობთ, რა არის მთავარი თვისება, რომელიც უნდა ახასიათებდეს მსახიობს?

- უამრავი თვისება და მონაცემია საჭირო მსახიობისთვის, სცენაზე რომ იდგეს. არის რაღაცები, რაც შესაძლებელია, რომ განავითაროს და შრომის შედეგად დახვეწოს. მაგალითად, მეტყველების პრობლემა თუა, შესაძლებელია, გამოასწოროს. ყურადღების პრობლემა თუა, უამრავი სავარჯიშო არსებობს ამისთვის. ზოგადად, სულ უნდა აკეთო სხვადასხვა სავარჯიშო, რომ მუდამ ფორმაში იყო, სულ რაღაცის ძიებაში უნდა იყო. ჩემი პედაგოგი ამბობს: თუ ამ პროფესიაში ჩათვალე, რომ სრულყოფილებას მიაღწიე, არაფერი გამოვა. ამ ყველაფერთან ერთად განათლებაა ძალიან მნიშვნელოვანი. სამწუხაროდ, რეჟიმიდან გამომდინარე, არ ვკითხულობ იმდენს, რამდენიც საჭიროა. ასევე, არის რაღაც, რაც, უბრალოდ, არ ისწავლება. დაბადებიდან ან გაქვს, ან არა. დიდი ბავშვი უნდა იყო, რომელიც მიამიტია, ბოროტებას და უსამართლობას არასდროს უნდა შეეგუო. ჩემთვის მსახიობი, პირველ რიგში, სიკეთესთან ასოცირდება და გული მწყდება, რომ ამ პროფესიაში ბოროტი, პირფერი, ზურგსუკან მოლაპარაკე ადამიანებიც არსებობენ. არის რაღაცები, რაც არასოდეს შეიცვლება. ცხოვრებაა ასეთი. ცხოვრება თეატრია, მთავარია, სწორ მხარეს იყო.

- რა იყო თქვენთვის ყველაზე რთულად დასაძლევი?

- როლები, რომლებიც მითამაშია, იოლი არ ყოფილა. უბრალო და მარტივი არ მაინტერესებს. როლი მაშინ არის კარგი, როცა მასზე ფიქრში შეგიძლია ღამე გაათენო. ყოველთვის ასე არ ვარ, მაგრამ ხშირად ღამე არ დამიძინია. ერთგვარი რიტუალებიც მაქვს... მგონია, რომ მომავალში მელოდება ისეთი რამ, რაც რთულად იქნება დასაძლევი და, პირველ რიგში, პროფესიაში საკუთარ თავს სწორედ უამრავ სირთულეს ვუსურვებ. თუ არ ვღელავ, არაფერი გამომდის (იცინის).

- მსახიობი რომ არ ყოფილიყავით, რომელ პროფესიას აირჩევდით?

- არ დავიბადებოდი (იცინის).

- რომელ პარტნიორს გამოარჩევდით და რატომ?

- ბევრ ნიჭიერ და კარგ მსახიობთან ერთად მითამაშია, მაგრამ იმედი მაქვს, არავის ეწყინება, თუ რამდენიმეს გამოვარჩევ: ნინი ბერიძეს, მარიამ მაშავას, შაკა კვარაცხელიას, დავით მამრიკიშვილს, კახაბერ ბრეგაძეს და ნიკუშა აბულაძეს. განსაკუთრებულად ნინი ბერიძეს გამოვარჩევდი.

- ტელესერიალში გადაღების გამოცდილებაც გაქვთ. როგორ მოგწონთ გადაღების პროცესი?

- ჯერჯერობით მხოლოდ ტელესერიალ „პორტო ფრანკოში“ ვმონაწილეობ, სადაც ბათუმის დრამატული თეატრის მსახიობ სესე მიქავას წყალობით მოვხვდი. სერიალის რეჟისორი რიჩარდ ტოტოჩავა ეძებდა ადამიანს, ვინც მეგრელს ითამაშებდა. ფეისბუქზე მქონდა სახალისო ვიდეო ატვირთული, სადაც მამაჩემის პაროდიას ვაკეთებდი. სესემ სერიალის რეჟისორს აჩვენა. მას მოეწონა და უფლება მომცა, სერიალში მამაჩემის სახელი - ტანგული დამერქვა. მამაჩემის როლს ვინც ასრულებს, მას, პირიქით, ტამანგო დავარქვით. ჩემი ოჯახის წევრებმა, ახლობლებმა და მეგობრებმა ძალიან ვიხალისეთ, მამაჩემმა - განსაკუთრებით, რადგან თბილისშია და ხშირად ვერ ვნახულობ. სერიალში ჩემი გამოჩენით და მისი სახელის დარქმევით შორიდან შევძელი გამემხიარულებინა და მოვფერებოდი. გადაღებების პერიოდიც პოზიტიურად მახსენდება. კარგი და მეგობრული გარემო იყო. მაქსიმალურად ვინდომებდით, რა იყო გამოსასწორებელი და რა არა, ამაზე ბევრს ვმსჯელობდით. პირველი სეზონი დასრულდა და იმედი გვაქვს, მეორე სეზონიც გაგრძელდება. ფინანსებია საჭირო, რომ სერიალი განვითარდეს და ეტაპობრივად დაიხვეწოს. კარგი პოტენციალი აქვს და სამომავლოდ, თუ ყველაფერი კარგად იქნება, უკეთესი სეზონი ელოდება „ბათუმი ტვ“-ს მაყურებელს. ამას გარდა, „იუთუბ“-ის მაყურებელი გვყავს - 50 ათასი. მადლობა ყველას, ვინც გვიყურა და გვიგულშემატკივრა. ვგეგმავ, ფილმებსა და სხვადასხვა სერიალშიც გამოვჩნდე და ვნახოთ. დანამდვილებით შემიძლია ვთქვა, რომ ამაზე არ გავჩერდები.

- გაქვთ თუ არა საოცნებო როლი?

- ზოგადად, ამაზე ფიქრი და ოცნება არ მჩვევია. ბევრი როლია, რომელიც მაინტერესებს. მთავარია, მონდომება და შრომა არ დავაკლო ჩემს პროფესიას. ამასთან, უნდა გაგიმართლოს კიდეც.

- რომელ სპექტაკლს და როლს გამოარჩევდით?

- პირველად 2017 წელს ვითამაშე სპექტაკლში „დიდი თევზი“, რომელიც დენიელ უოლასის ამავე სახელწოდების ნაწარმოების მიხედვით თეატრალურ სტუდია „პიეროში“ მეგობრულმა, ნიჭიერმა და კეთილშობილმა რეჟისორმა ნიკოლოზ ლუარსაბიშვილმა დადგა. ვთამაშობდი ედუარდ ბლუმს, გამოუსწორებელ მეზღაპრეს. განსაკუთრებულად მახსენდება სპექტაკლის დასაწყისი, როცა ფერადი ბუშტებით გატენილ კარადაში ვიჯექი, რომელიც სცენაზე იდგა. კარადის გაღება და ჩემი გადმოხტომა ედუარდ ბლუმის დაბადებას ნიშნავდა. კარადიდან რომ გამოვხტი, თითქოს პროფესიაშიც მაშინ დავიბადე და სპექტაკლის მსვლელობის დროს ნელ-ნელა ვიზრდებოდი. ხუმრობითაც კი ვამბობ, რომ ორი დაბადების დღე მაქვს - 1998 წლის 8 მარტი და 2017 წლის 3 ივლისი, როცა ჩემი პირველი სპექტაკლი დაბადების სცენით დაიწყო. შესაბამისად, ასაკიც ორი მაქვს - 25 წლისაც ვარ და 6-ისაც. ძალიან ტკბილი მოგონებაა და გახსენებისას მეღიმება. ხშირად მახსენდება ედუარდი, როგორც გამოუსწორებელი მეზღაპრე. ამას გარდა გამოვარჩევდი საუნივერსიტეტო სპექტაკლს „ჩვეულებრივი ამბავი“, რომელიც ჩემი და ჩემი ჯგუფელების საყვარელმა ადამიანმა, ჩვენმა პედაგოგმა მერაბ ლებანიძემ დადგა. არასდროს მიგრძვნია თავი სცენაზე ისე ლაღად და თავისუფლად. ვთვლი, რომ ეს ახალი, წინგადადგმული ნაბიჯი იყო პროფესიაში. რჩევებთან ერთად საინტერესო და კარგი შეფასებებიც დავიმახსოვრეთ. დღემდე გვეკითხებიან, კიდევ როდის ვითამაშებთ. ჯერ არ ვიცით. წინ სადიპლომო სპექტაკლია და მთელ კონცენტრაციას მასზე ვაკეთებთ.

- გაქვთ თუ არა ინტერესის სხვა სფერო?

- ვცდილობ, ცოტ-ცოტა ყველაფერი მაინტერესებდეს, რადგან ისეთი პროფესია ავირჩიე, რაღაც დონეზე ყველაფრისმცოდნეობაც მევალება, რადგან ნებისმიერი პროფესიის პერსონაჟის განსახიერება მომიწევს, თუმცა განსაკუთრებით ფეხბურთი და სიმღერა მიზიდავს, სამწუხაროდ თუ საბედნიეროდ, არ ვიცი, მაგრამ არაადეკვატური და გიჟი გულშემატკივარი ვარ (იცინის). „მანჩესტერ იუნაიტედი“ გოლს რომ გაიტანს, ჩემი ღრიალით სამყაროს შეზანზარება შემიძლია. რაც შეეხება მუსიკას, გიტარაზე ვუკრავ, შეძლებისდაგვარად ვმღერი, ჩემი დაწერილი სიმღერებიც მაქვს. ხანდახან ჩუმად ლექსებსაც ვწერ და თავისუფალ დროს სიამოვნებას ვიღებ ამისგან. შემდეგ სამეგობრო წრეში ვმღერი და ყველანი ვერთობით. სამომავლოდ ამ მხრივაც ვაპირებ რაღაცებს.

- იმ რეჟისორებს შორის, რომლებთანაც გიმუშავიათ, ვის გამოარჩევთ?

- ბევრის მადლიერი ვარ, თუმცა გამოვარჩევდი ჩემს პირველ რეჟისორ ნიკოლოზ ლუარსაბიშვილს და ჩემს პედაგოგ მერაბ ლებანიძეს. მათთვისაც მაქვს ნათქვამი, რომ ხშირად ერთმანეთსაც ვამსგავსებ. მათი რეჟისურა და ხედვები ძალიან მომწონს, მიზიდავს და ინტერესში მაგდებს. რა თქმა უნდა, დადგმის ერთმანეთისგან განსხვავებული მეთოდები აქვთ, მაგრამ აზრობრივად და იდეურად ბევრი საერთოც აქვთ, რაც ძალიან მახარებს. ორივე შეუდარებელი პიროვნებაა და ადამიანობას ყოველთვის პირველ რიგში აყენებენ.

- კინო თუ თეატრი?

- ისეთი კითხვა დამისვით, ღრმა ბავშვობა გამახსენდა, როცა მეკითხებოდნენ, დედა უფრო მეტად მიყვარდა თუ მამა (იცინის). ორივე მეთქი, ვპასუხობდი, მაგრამ ხომ ვიცით, რომ დედა მაინც სულ სხვაა. ჩემი პასუხიც, წესით, ნათელი უნდა იყოს. მამა არ მიწყენს, პირიქით - გაუხარდება.

- რა გეგმები გაქვთ?

- ამ ეტაპზე მე და ჩემი ჯგუფელები ჩვენს პედაგოგთან ერთად თოჯინებისა და მოზარდ მაყურებელთა თეატრში სამხატვრო ხელმძღვანელმა, ძალიან მონდომებულმა და პასუხისმგებლობის მქონე ადამიანმა, ბატონმა ირაკლი კიკვაძემ მიგვიწვია. მოზარდებისთვის სპექტაკლი უნდა დაიდგას, რომლის რეპეტიციები სექტემბერში დაიწყება. რაც შეეხება სხვა გეგმებს, რომლებიც მე და ჩემს ჯგუფელებს ჩვენს პედაგოგსა და მის უკეთილშობილეს შვილ ანა ლებანიძესთან ერთად გვაქვს, ჯერჯერობით საიდუმლოდ დავტოვებ. იხარეთ და იბედნიერეთ სრულიად სამყაროსთან ერთად!

მთავარი რედაქტორი
მარინა მითაიშვილი

გამომშვები რედაქტორი
ირმა შერვაშიძე

ლიტერატურული რედაქტორი
ეთერ ხომერიკი

რედაქცია პასუხს არ აგებს უცხოური პრესიდან თარგმნილი მასალების, ფაქტების, ინფორმაციის სიზუსტეზე, აგრეთვე სარეკლამო განცხადებების შინაარსსა და სტილზე.
(R) ნიშნით აღნიშნული სტატიები იბეჭდება რეკლამის უფლებით.
რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

გამომცემელი - შპს «ბაზეთი აჭარა და აჯარია»
პოლიგრაფიული მომსახურება - შპს «კოლორ პრესი»
მის: ქ. თბილისი, ე. ბაღდავაძის ქ. №3

მისამართი: 6000, ბათუმი, გრიგოლ ფეოდოვის ქ. №2ᵇ
ტელ: 27-13-31
აიწყო და დაკაბადონდა გაზეთ „აჭარის“ კომპ. ცენტრში
დასაბეჭდად ხელმოწერილია 7/07/23, 20 ⁵⁵ სთ.

დირექტორი
მამუკა ბერიძე

მომთხოვნი, მკაცრი, მაგრამ დიდი გულის პედაგოგი

მანანა ძიძიშვილი 598 24 94 97

კინოთეატრ „აპოლოში“ აჭარის დამსახურებული მოღვაწის, აჭარის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლის სოლისტის, ვოკალის პედაგოგის, ბათუმის რევაზ ლაღიძის სახელობის სამუსიკო სკოლა-კოლეჯის ყოფილი დირექტორის, ანსამბლების „ბათუმისა“ და „ორნანოს“ ხელმძღვანელ სულიკო გიორგაძის შესახებ ფილმის პრეზენტაცია გაიმართა, რომლის იდეის ავტორები გახლავთ აჭარის რადიოს ჟურნალისტები თეონა ზედანია და ილია შავიშვილი

ფილმი მომზადდა აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს „ახალი შემოქმედებითი პროექტების მხარდაჭერის საგრანტო კონკურსში“ გამარჯვებული პროექტის „კადანსი მუსიკა ბათუმიდან“ ფარგლებში.

ასეთივე პროექტის ფარგლებში ამ ორმა ნიჭიერმა და შრომისმოყვარე ახალგაზრდამ უკვე შესთავაზა მაყურებელს რამდენიმე ფილმი, მათ შორის, ჯგუფ „იალქანზე“, მომღერალ მარინა ჯახუტაშვილზე, მუსიკოს ვახტანგ გორდაძეზე, ჯგუფ „აბი გლუკოზაზე“... ეს მათი რიგით მეშვიდე ფილმია. როგორც ამბობენ, მსგავს თემაზე ფილმების მომზადების მიზანია დაამტკიცოს, რომ ქალაქს, რომელსაც აქვს ამბიცია და არის ძალიან მუსიკალური, ყოველთვის ჰყავდა და ჰყავს დიდი მუსიკოსები.

კარგია, რომ სამინისტროში არსებობს ისეთი მნიშვნელოვანი პროექტი, რომლის საშუალებითაც ახალგაზრდებს ამ საუკეთესო იდეის განხორციელების საშუალება მიეცათ. მაგალითისთვის მოვიშველიებთ გოგონათა ვოკალურ-ინსრუმენტულ ანსამბლ „იალქანზე“ მომზადებულ ფილმს, რომელიც „მზიურზე“ ათი წლით ადრე შეიქმნა ბათუმში და ბევრმა ამის შესახებ სწორედ მათი ფილმიდან გაიგო. „იალქანის“ შესახებ კინოსტუდია „ოდესამ“ ფილმი ბევრად ადრე გადაიღო ოდესიდან მომავალ გემზე...

ილია შავიშვილსა და თეონა ზედანიას სურთ, ბათუმელებს ჯერ ის ადამიანები გაახსენონ და გააცნონ, ვინც უკვე მოღვაწეობდა, შემდეგ მათზეც მოამზადებენ ფილმს, ვინც ახლაა წარმატებული. ილია შავიშვილი თავად სწავლობდა რევაზ ლაღიძის სახელობის სამუსიკო კოლეჯში. გარდა იმისა, რომ სულიკო გიორგაძე მისი დირექტორი იყო, ისინი მეგობრობდნენ. გული წყდებოდა, რომ ის სათანადოდ არ იყო ცნობილი. რაც ფილმში ვიხილეთ, ყველაფერი აჭარის რადიოს ფონდში ინახებოდა და გააციფრულეს. ილია სტუდენტი იყო, როცა ფილმში წარმოდგენილი

ინტერვიუ ჩაიწერა, ფირის ოპერატორიც ასევე სტუდენტი ვანო მეხრიშვილია.

მემედ აბაშიძის სახელობის სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, შველიძის საერთაშორისო კონკურსის ლაურეატი, ღირსების ორდენოსანი, მომღერალი და პედაგოგი სულიკო გიორგაძე 1939 წლის 10 თებერვალს მახინჯაურში დაიბადა. სწავლობდა თბილისის კონსერვატორიაში ვოკალურ ხელოვნებაზე, ბათუმში დაბრუნებული, ზაქარია ფალიაშვილის სახელობის სამუსიკო სასწავლებლის სოლო სიმღერის პედაგოგად მუშაობდა, ასევე, მეოთხე სამუსიკო სკოლის, შემდგომში კოლეჯის დირექტორად, ბათუმის კონსერვატორიის სოლო სიმღერის პედაგოგად, იყო ვოკალური ანსამბლების „ბათუმის“, „ორნანოს“, „ოჰოი, ნანას“ სამხატვრო ხელმძღვანელი.

ამ სიყვარულით გადაღებულმა ფილმმა არაერთი მივიწყებული სახე გაგვიცოცხლა, გაგვახსენა ის ადამიანი, რომელმაც ძალიან დიდი წვლილი შეიტანა ჩვენი ქალაქის კულტურულ-შემოქმედებით ცხოვრებაში.

ფილმში არაერთი ადამიანი იგონებს სულიკო გიორგაძეს, მათ შორის, მისი მეუღლე სვეტლანა ბაგათელია, ნოდარ ვარშანიძე, ჭაბუკა სურმანიძე, დოდო ჯვარშეიშვილი, თემურ დოლიძე, ზაირა ვადაჭკორია, ნატალია ორაგველიძე...

ეკრანიდან მოვისმინეთ შესანიშნავი ხელოვანის მიერ შესრულებული არიები, სიმღერები.

მან თაობები აღზარდა, რომლებიც დღესაც წარმატებით მოღვაწეობენ. ყველაფერს ხელოვნების, ადამიანების სიყვარულით აკეთებდა, ძალიან მომთხოვნი იყო. გაიხსენეს, თუ როგორ დადიოდა აჭარის სოფლებში და ეძებდა მუსიკალური ნიჭით დაჯილდოებულ ადამიანებს კოლეჯის გუნდისთვის. საქმეში შეუვალი იყო, ნიჭიერ ადამიანებს გვერდით უდგებოდა.

ფილმში დიდი ადგილი ეთმობა სულიკო გიორგაძესთან ინტერვიუს, რომელიც, როგორც აღვნიშნეთ, ილია შავიშვილმა ახალგაზრდობაში ჩაიწერა. ინტერვიუში კარგად ჩანს, როგორი მიზანდასახული ხელმძღვანელი გახლდათ. ყველა პირობას უქმნიდა პედაგოგებს მუშაობისთვის, ყველასთან არაჩვეულებრივი ურთიერთობა ჰქონდა. დირექტორებს შორის გამორჩეული ადამიანი, ყველაფერს აკეთებდა, რომ სასწავლებელი სამაგალითო ყოფილიყო...

როგორც ჭაბუკა სურმანიძემ აღნიშნა, ის ყველგან სიყვარულს აფრქვევდა.

სულიკო გიორგაძის დავიწყება შეუძლებელია, ის ყოველთვის იქნება თაობებისთვის მაგალითი.

- მის სახელს უკავშირდება ის, რომ დღეს რევაზ ლაღიძის სამუსიკო სკოლა წარმატებული, ერთ მუშტად შეკრული კოლექტივია, ბევრი საერთაშორისო მიწვევა აქვს, სულიკო გიორგაძემ აქ მოსვლისთანავე სიყვარულითა და სიკეთით სავსე გულისკარი გამიღო და როგორც შვილი, საკუთარი ოჯახის წევრი, ისე მიმიღო. სულ მალე, საფორტეპიანო განყოფილება ჩამაბარა. მისი მოწადინებით დაემატა სკოლას ზედა საფეხური და კოლეჯი გახდა. მას სურდა სასწავლებელს კარგი გუნდი ჰყოლოდა და ჰყავდა კიდეც. დღეს სასწავლებელში სამი წარმატებული გუნდია. მადლობას ვუხდი ყველაფრისთვის, ნათელი მის სულს და მადლობა ფილმის შემქმნელებს, - აღნიშნა რევაზ ლაღიძის სამუსიკო სკოლის დირექტორმა და პედაგოგმა ნატო ორაგველიძემ.

- სამინისტროსთვის ღირებულია პროექტი, რომლითაც ვიხსენებთ დიდი ხელოვანების შემოქმედებას. მათ შექმნეს ხელოვნების, ქალაქის ისტორია. თითოეული სიტყვა, რომელიც ისმოდა ეკრანიდან თუ რომელიც დარბაზში ითქვა, იყო გულწრფელი. დღევანდელი დღეს ჩვენი ქალაქის ისტორიის პატივისცემაც გახლდათ, - თქვა აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრმა მაია ხაჯიშვილმა.

ფილმის შემდეგ მაყურებლის ოვაცია სულიკო გიორგაძის შემოქმედებისთვის პატივის მიგება იყო, იმ შემოქმედებისთვის, რომელიც ასე ლამაზად წარმოაჩინეს ფილმის შემქმნელებმა.

ბათუმის ფესტივალი – ანბანის კოშკთან

მარიამ ხითარიშვილი 27 48 93

დღეიდან ბათუმში, ანბანის კოშკთან, ყველაზე მრავალფეროვანი ფესტივალი იღებს სტარტს, რომელიც სექტემბრის ბოლომდე გაგრძელდება

ფესტივალი საერთაშორისო საინვესტიციო კომპანია „ლისინ ჯგუფის“ ორგანიზებით ჩატარდება, 16 ივლისს კი მაყურებელს გრანდიოზული გახსნა ელოდება, სადაც თქვენს განწყობაზე ანსამბლი „არსიანი“, სოფო ხალვაში ბენდთან ერთად, ბენდი „სისაიდი“, „თამადა“, DJ tobako tween-ი და ადგილობრივი დიჯეები - ბექა კალანდაძე, ბენე, ჩიკი და Goldman-ი იზრუნებენ.

საფესტივალო ტერიტორიაზე 6 ზონაა წარმოდგენილი.

ღია კინოთეატრი მაყურებელს 20:00 საათიდან უმასპინძლებს. კინოჰიტების ჩვენება და ფეხბურთის მატჩები ღია ცის ქვეშ გაიმართება.

ყველაზე მასშტაბურ შოპინგ-ზონაში ადგილობრივი მეწარმეების ხელნაკეთი ნივთები იქნება წარმოდგენილი მრავალფეროვანი არჩევანით: არტიზანული ნამუშევრები, ხელნაკეთი აქსესუარები, ტრენდული სამკაულები, ჩანთები და უნიკალური დეკორატიული ნივთები.

საკვებ ზონაში ქართული, ევროპული და აზიური გემოები ერთ ლოკაციაზე მოიყრის თავს. აქ დაგხვდებათ საქართველოს ყველა კუთხის გასტრონომიული შედევრები, ტკბილი და ფერადი დესერტები, აზიური სამზარეულოს მსოფლიოში აღიარებული კერძები, წვნიანი ბურგერები, ნუდლსი, ბელგიური ვაფლი, მოჩი, ბაბლ თი და უამრავი გემრიელობა.

გასართობ ზონაში ორი სცენა დაგხვდებათ, სადაც ზღვა ემოციების მისაღებად თქვენს განწყობაზე ლაივბენდები, სოლო შემსრულებლები და დიჯეები იზრუნებენ. მაყურებელს მთავარ სცენაზე ცნობილი ქართული ბენდები და ჯადოსნური შოუები ელოდება. აქვე ბარების ზონაც განათავსეს, რომელიც განტვირთვის და გართობის მოყვარულებს ერთ ადგილზე შეკრებს. ვირტუოზი ბარმენები კი კოქტეილებთან ერთად, საოცარ შოუს შემოგვთავაზებენ.

სპეციალურად პატარებისთვის საბავშვო გასართობი ზონაა მოწყობილი, სადაც მათ განწყობაზე ანიმატორები იზრუნებენ. ბავშვებს საინტერესო ვორქშოფები და მასტერკლასები ელოდებათ, ასევე, სახალისო თამაშები მშობლებთან ერთად და უამრავი სიურპრიზი.

400-მდე ახალგაზრდას საშუალება აქვს, ბათუმის ფესტივალზე დასაქმდეს და ზაფხულის ცხელი დღეები კარიერული წინსვლისთვის გამოიყენოს.

შსს-მ 16 წლის ლუკა აბულაძის მკვლელობის საქმეზე სამი პირი დააკავა

ლუკა აბულაძის ცხედარი საგანგებო სიტუაციების მართის სამსახურის თანამშრომლებმა რამდენიმედღიანი ძებნის შემდეგ გუშინ იპოვეს.

„შინაგან საქმეთა სამინისტროს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის თანამშრომლების მიერ ბათუმში გაუჩინარებული მოზარდის, 2007 წელს დაბადებულ ლ.ა.-ს ცხედარი ნაპირიდან დაახლოებით 2 კილომეტრის მოშორებით იქნა ნანახი.

ლ.ა.-ს გაუჩინარების თაობაზე შინაგან საქმეთა სამინისტროს აჭარის პოლიციის დეპარტამენტს განცხადებით, მიმდინარე წლის 5 ივლისს მიმართეს, რის შემდეგაც არასრულწლოვნის სამძებრო სამუშაოებში უწყების შესაბამისი დანაყოფები ჩაერთვნენ. ფაქტზე დაიწყო გამოძიება.

გამოძიების ფარგლებში შინაგან საქმეთა სამინისტროს აჭარის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა სამი პირი: 1989 წელს დაბადებული ზ.ს., 2004 წელს დაბადებული ნ.მ. და 2005 წელს დაბადებული ლ.მ. დააკავეს.

ზ.ს.-ს ბრალად ედება არასრულწლოვნის მიმართ ჩადენილი განზრახ მკვლელობის მცდელობა, ხოლო ნ.მ. და ლ.მ. განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის შეუტყობინებლობის ბრალდებით არიან დაკავებულები.

გამოძიების მსვლელობისას ჩატარებული კომპლექსური ოპერატიული ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად დადგინდა, რომ ზ. ს.-მ მიმდინარე წლის 4 ივლისს ბათუმში ლ.ა. და კიდევ სამი პირი მისი მართვის ქვეშ არსებულ კატერზე გამობმული ე.წ. გასაბერი ბანანით ზღვაში გაიყვანა.

მოგვიანებით ზ.ს.- მ მკვეთრი მანევრით, ე.წ. გასაბერ ბანანზე მჯდომი ოთხივე პირი, მათ შორის ლ.ა. განზრახ გადაყარა წყალში ისე, რომ მათ სამაშველო ჟილეტების გა-მოყენების საშუალება არ მისცა, თავად კი კატერზე მყოფ თანხლებ პირებთან, ამჟამად აღნიშნული დანაშაულის შეუტყობინებლობისთვის ბრალდებულის სახით დაკავებულ ნ.მ.-სთან და ლ.მ. - სთან ერთად სვლა განაგრძო.

წყალში აღმოჩენის შემდეგ, სამმა ახალგაზრდამ ნაპირზე გამოსვლა შეძლო, ხოლო ლ.ა.-ს სამძებრო სამუშაოები ამ დრომდე ინტენსიურ რეჟიმში მიმდინარეობდა.

მომხდარ ფაქტზე გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 19-109-ე და 376-ე მუხლებით მიმდინარეობს“, - აღნიშნულია გავრცელებულ ინფორმაციაში.

ამირან გურიელიძე